# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 17 დეკემბერი, 2010 წელი.

№235 (6601)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## კეთილმეზობლური სულისკვეთებით



### თანამედროვე ირანის პორტრეტი

5-8



## ხელისუფალთა პრემიები ზოგჯერ ხელფასზე ორჯერ მეტია

2



## ქართული „ოპენდება“ — ამერიკული „ვიკილიქსის“ კვალდაკვალ

## ევროპარლამენტი რუსეთს მუდამ შეახსენებს, რომ იგი ოკუპანტია

3

## ქართული არმია აგვისტოს შემდეგ დასუსტდაო...

11





## მოაზროვნე „ტიპები“ და ქართული განათლების „მდგრადი“ უპერსპექტივობა

3

## რაც ახლა რუსეთში ხდება, უმაღლეს ეშელონებში დაპირისპირებისა და ხელისუფლებისთვის ბრძოლის ანარეკლია

2



◉ პრეტენზია

# ქართული „ოპენდეტა“ – ამერიკული „ვიკილიქსის“ კვალდაკვალ



## ხელისუფალთა პრემიები ზოგჯერ ხელფასზე ორჯერ მეტია

**მთავრობის ხელფასებისა და პრემიების, სამინისტროების ხარჯები ყოველთვის იწვევს საზოგადოების მძაფრ ინტერესს. ქონებრივი დეკლარაციები, რომელიც სავალდებულო გახდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მაინც და მაინც დიდი ბედენა არ აღმოჩნდა ამ მხრივ. ამჯერად „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით საჯარო ინფორმაციის მონაცემთა შესახებ ახალი ვებ-გვერდი შექმნა, სადაც განთავსებულია საკმაოდ მოცულობითი ინფორმაცია სამინისტროების მიხედვით სახელფასო ფონდების, მინისტრებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეთა პრემიების, სამინისტროების ბიუჯეტისა და სარეზერვო ფონდების შესახებ. ყველა მასალა თავად სამინისტროების ოფიციალურ ინფორმაციას ეყრდნობა, თუმცა როგორც კი ვებ-გვერდი პოპულარული გახდება, მომავალში ინფორმაციის წყარო ოფიციალური სტრუქტურების გარდა რიგითი მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიზაციებიც იქნებიან.**



ვებ-გვერდის პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ გაიმართა, რომელსაც ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

საინტერესოა, რომ სულ ახლახანს „ახალმა მემარჯვენეებმა“ ხმაური ატეხეს ყოფილი გუბერნატორისა და ახლანდელი მინისტრის ლადო ვარძელაშვილის გამო, რომელიც თურმე საკუთარ თავს საკმაოდ სოლიდურ პრემიებს უნიშნავს.

აღმოჩნდა, რომ კანონმდებლებმა უფლება მისცეს აღმასრულებლებს თვითონ განსაზღვრონ პრემიების მოცულობა, გაცემის წესი და ა. შ. სწორედ ამიტომ განაცხადა ლადო ვარძელაშვილმა, რომ მას კანონით ამის უფლება ჰქონდა, ადგა და საკუთარ თავს ხელფასის ტოლი პრემია დაუნიშნა.

რაც შეეხება ფინანსებთან დაკავშირებულ პერსონალურ ინფორმაციას, აღმოჩნდა, რომ სასამართლომ ის საიდუმლოდ მიიჩნია. არასამთავრობოებმა გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს და პასუხს ელოდებიან.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ პროექტის განხორციელება სექტემბერში დაიწყო. საჯარო ინფორმაციის მიწოდების შესახებ 19 სამინისტროდან 11 უწყებამ უპასუხა. 296 შეკითხვიდან მხოლოდ 169-ამ გასცა პასუხი. ყველაზე დახურული აღმოჩნდა პრეზიდენტის ადმინისტრაცია. ამაზე ვახტანგ ხმალაძემ ასეთი კომენტარი გააკეთა: „პრეზიდენტის სამსახურიდან რომ ინფორმაცია მიილო, რაღაც კოლაფსი უნდა მოხდეს. ეს არის „შავი ხვრელი“. ისინი პრეზიდენტის აქტების არათუ შინაარსს, სათაურსაც კი არ აქვეყნებენ“.

მაგალითად, იუსტიციის სამინისტრომ მიიჩნია, რომ პრემიები და ხელფასები პირად საიდუმლოებას წარმოადგენს. როცა ასეთი სამინისტრო მსგავს პასუხს იძლევა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და თავდაცვის სამინისტრო დახურული უწყებები აღმოჩნდნენ, რომლებიც მსგავს ინფორმაციას საჯაროს არ ხდიან. შედარებით ყველაზე სრულყოფილი ინფორმაციის მიღება რეინტეგრაციის სამინისტროდან გახდა შესაძლებელი.

საინტერესოა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი. 2009 წელს ბაკურ კვეზერელის უწყებაში მისი 73 პროცენტი პრემიების სახით გაიცა, დანარჩენი – ხელფასებზე. საგარეო საქმეთა სამინისტროში პრემია და ხელფასი ერთმანეთის ტოლია და გამოდის, რომ თვეში ორჯერ იღებენ ხელფასს.

პრეზენტაციაზე ითქვა, რომ მომავალი წლიდან საქართველო პროგრამულ ბიუჯეტზე უნდა გადავიდეს, ანუ საზოგადოებას წინასწარ, წლის დასაწყისშივე უნდა მიეწოდოს ანგარიში წლის განმავლობაში დახარჯული თანხების შესახებ.

**ალბათ, ეს ინფორმაცია ნაკლებად სარწმუნოა, მაგრამ ის საჯარო მონაცემები, რომელიც ახალ ვებ-გვერდზე დევს, აბსოლუტურად უტყუარია. ვნახოთ, თუ გამოიწვევს „ოპენდეტა“ „ვიკილიქსის“ ეფექტს. უდავოა, რომ მთავრობის ბიუჯეტის ხარჯვის კონტროლი საინტერესოა, რადგან ისინი ჩვენი ჯიბიდან ამოღებული ფულებით „დაგრიალებენ“.**

**ანა ქაფიაშვილი,**
**საინფორმაციო სააგენტო „კაბადონი-8“**

◉ გამოსვლები მოსკოვში

# რაც ახლა რუსეთში ხდება, უმაღლეს ეშელონებში დაპირისპირებისა და ხელისუფლებისთვის ბრძოლის ანარეკლია

**მოსკოვის ქუჩებში ნაციონალ-ფაშისტური მოძრაობის გამოსვლისა და კავკასიელთა გააქტიურების სავარაუდო მიზეზებზე „ინტერპრესნიუსი“ პრეზიდენტ მედვედევის საზოგადოებრივი საბჭოს წევრსა და პოლიტოლოგს დიმიტრი ორეშკინს ესაუბრა.**





**– ბატონო დიმიტრი, თქვენი აზრით, რა ხდება რუსეთის დედაქალაქში?**

– ჩემი აზრით, ხდება იმის დადასტურება, რომ პუტინის მიერ შექმნილი მართვის მოდელი არაეფექტიანია. ძალადობაზე კონტროლი სახელმწიფოს ბუნებრივი სფეროა, სახელმწიფოს მხრიდან კანონით უნდა რეგულირდებოდეს და ხორციელდებოდეს. თუ სახელმწიფოს არ შეუძლია თავისი ფუნქციის შესრულება, ეს ძალიან ცუდია. თუ ძალადობას ალტერნატიული სტრუქტურები ხელისუფლების გარეშე ახორციელებენ, ეს უკვე მაფიაა და არა – სახელმწიფო.

**– მოსკოვის ქუჩებში მიმდინარე პროცესებზე საუბრისას ყველაზე აქტუალური კითხვაა – ეს პროცესები მართულია თუ უმართავი?**

– გააჩნია, ვისგან არის მართული და სახელისუფლო ვერტიკალის რა დონეზეა ამგვარი გადაწყვეტილება მიღებული. არა მჯერა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება პუტინის დონეზე არსებობდეს. მაგრამ, მე დარწმუნებული ვარ, რომ პროცესები ძალოვანი უწყებების პოლკოვნიკებისა და გენერლების დონეზეა მართული.

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ფეხბურთის ფანებს ძალოვანი უწყებების მხრიდან მხარდაჭერა აქვთ. კანონის დამრღვევ დაკავებულ ფანატებს მილიცია ძალიან სწრაფად ათავისუფლებს. საქმე ის არის, რომ ფანატებს შეუერთდნენ ნაციონალ-ფაშისტურ მოძრაობათა აქტივისტები. ფანატები მანეჟის მოედანზე იგორ სვირიდოვის მკვლელობაში დამნაშავეების დასჯას, ანუ სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციის შესრულებას ითხოვდნენ. ფანატებთან შეერთებულმა ადამიანებმა არაორგანიზებულ მასას პოლიტიკური ლოზუნგი – „სისხლის სამართლის კოდექსიდან 282-ე მუხლის ამოღების“ მოთხოვნა შესთავაზეს. კოდექსის ეს მუხლი რუსეთში ექსტრემიზმის პროპაგანდას, სხვა ერების მიმართ მიუღებელი გამოთქმების გამოყენებას კრძალავს.

ფანატებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, რას ითვალისწინებდა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 282-ე მუხლი. მაგრამ, ნაციონალ-ფაშისტებმა მათ აუხსნეს, რომ სწორედ ამ მუხლის არსებობის გამო მათ ექსტრემისტულ ორგანიზაციას არ შეუძლია მოსკოვიდან კავკასიელებისა და შუა აზიელების დიასპორების გაძევება. სისხლის სამართლის კოდექსიდან ამ მუხლის ამოღებას ითხოვს რეგისტრაციაში გაუტარებელი ნაციონალ-ფაშისტური ორგანიზაცია „სამშობლო, საღი აზრი“, რომლის ლიდერები არიან მაქსიმ კალაშნიკოვი და მიხაილ დელიაგინი.

ქუჩაში განვითარებული პროცესები რომ მართულია, ეჭვს არ იწვევს. ამგვარი ქმედებებით ექსტრემისტები საზოგადოებას ხელისუფლების უსუსურობას აჩვენებენ და, სხვათა შორის, იმასაც, რომ ისინი მზად არიან, ხელში აიღონ ძალაუფლება. ძალოვნებშიც საკმაოდ ბევრი ფიქრობს ასე.

**– ექსპერტთა უმრავლესობა ამ პროცესებს რუსეთში დაწყებულ საპრეზიდენტო კამპანიას უკავშირებს. ვის უფრო მეტი შანსი აქვს, გამოიყენოს შექმნილი ვითარება, მედვედევს თუ პუტინს?**

– ხელისუფლება რომ თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, რა თქმა უნდა, ვიღაცას ხელს აძლევს. ხელისუფლების უსუსურობა ხალხს უძლიერებს აზრს, რომ დემოკრატია რუსეთისთვის დამანგრეველია და რუსეთს ძლიერი ხელი სჭირდება. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისს მოსახლეობის უმრავლესობა ემხრობა.

**– თუ ასეა, რატომ ფიქრობთ, რომ ამგვარი პროცესების წახალისება მხოლოდ საშუალო დონეზე მიიღეს და მასში თუნდაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე – ახალგაზრდობასთან საქმიანობაზე პასუხისმგებელი სურკოვი არ მონაწილეობს?**

– ამის დამადასტურებელი ფაქტები არა მაქვს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხელისუფლება არაერთგვაროვანია. ძალოვნებს ქვეყნის ძალისმიერი მეთოდებით მართვა სურთ. აშკარაა ისიც, რომ მედვედევისა და პუტინის გუნდებს შორის კონკურენცია იზრდება. ამ პროცესების მონაწილეობაში სურკოვზე ვერაფერს ვერ ვიტყვი, მაგრამ ის, რომ ექსტრემისტებს კრემლის მხარდამჭერი მოძრაობა „ნაში“ არ დაპირისპირებია, ეს დამაფიქრებელია. ხელისუფლებასთან დაახლოებული ძალოვნები ექსტრემისტებს საზოგადოების დაშინების ინსტრუმენტად იყენებენ. ქუჩაში განვითარებული პროცესების შემყურე საზოგადოების მდუმარე უმრავლესობა უკვე მიიჩნევს, რომ დროა, დასრულდეს დემოკრატიაზე საუბარი და საჭიროა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღება.

◉ ინფორმაცია თემაში

## მოსკოვში მოვლენები უფრო სერიოზულ სახეს მიიღებს

**ექსპერტ კახა გოგოლაშვილის შეფასებით, მოსკოვი „თავკომბალად“ გადაიქცა და ეს მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების ბრალია.**

**– რუსეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ არის ძალადობრივი და ეს გარკვეულწილად ხელს უწყობს მოსახლეობის ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფას და დაქსაქსვას. ამას ემატება ისიც, რომ რუსეთის ხელისუფლება დიდი ხანია არ აქცევს ყურადღებას იმ ნაცისტური თუ ფაშისტური ჯგუფების ქმედებებს, რომლებიც ხელყოფენ ეთნიკურად არარუსი მოქალაქეების სიცოცხლეს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამას რუსეთის ხელისუფლება განზრახ აკეთებს. საბოლოო ჯამში, სწორედ ამის ბრალია, რომ რუსეთის დედაქალაქი მოსკოვი დღეს თავკომბალად გადაიქცა, – განაცხადა გოგოლაშვილმა მოსკოვის ცენტრში მიმდინარე მოვლენებზე კომენტირებისას.**

**ამასთან, ექსპერტის შეფასებით, ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებაც კი, რაც რუსეთში ხდება, ქვეყნის სტრუქტურულ პრობლემებზე მიუთითებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 235. პარასკევი, 17 დეკემბერი, 2010 წელი.

„ფორუმი“ მოითხოვს

# „შავი ხვრელი“ – უშიშროების საბჭოს უხილავი სხეული



**ერთობ მნიშვნელოვანი განცხადება გაავრცელა „ეროვნულმა ფორუმმა“, კერძოდ კი მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა ნოდარ ჯავახიშვილმა. სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე საუბარი იყო საქართველოს პრეზიდენტის „საიდუმლო განკარგულებებზე“ და ეროვნული უშიშროების საბჭოს ე. წ. „შავ ხვრელებზე“.**

თუ რა „შავ ხვრელზეა“ საუბარი და საიდან გაჩნდა ის, ამას ნოდარ ჯავახიშვილი შემდეგნაირად განმარტავს: „ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის ბიუჯეტში, კიდევ ერთი „შავი ხვრელი“ გააჩინა და ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის მეშვეობით გრიფით „საიდუმლო“ აღჭურვილი განკარგულებით მილიონი ლარი დახარჯა. მისივე განცხადებით ეს „შავი ხვრელი“ სწორედ 2008 წელს გაჩნდა, მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭოს ბიუჯეტიდან დაუმტკიცდა 566 ათასი ლარი, მაგრამ სინამდვილეში გადაირიცხა 19 მილიონ 900 ათასი, იგივე განმეორდა მომავალ წელსაც. უფრო მეტიც, საბჭოს დაფინანსება გაიზარდა, და შეადგინა მილიონ სამასი ათასი, დანახარჯმა რეალობაში კი 17 მილიონს გადააჭარბა. „– საქართველოს პარლამენტს ამ ხარჯების ბიუჯეტში ასახვა არათუ არ მოუთხოვია, 2010 წელს საბჭოს დაფინანსება უმნიშვნელოდ შემცირდა და 1285,0 ათასი ლარი დაუმტკიცა“ – აცხადებს ნოდარ ჯავახიშვილი. ასევე მისი თქმით, უკვე 12 იანვარს პრეზიდენტი ხელს აწერს ექვს საიდუმლო განკარგულებას და ერთ დღეში ამ ექვსი განკარგულებით, უშიშროების საბჭოს ერიცხება დაახლოებით 10 მილიონამდე ლარი. საბოლოოდ კი ეს რიცხვი 3 წლის მანძილზე, დამტკიცებულ თანხაზე ათჯერ უფრო მეტია.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა, რომელიც შექმნილია სამხედრო აღმშენებლობისა და თავდაცვის ორგანიზაციის, ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სტაბილურობის და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მისაღებად. და მას პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. როგორც ხედავთ, იგი სულაც არ არის სამეურნეო ფუნქციებით აღჭურვილი უწყება და არც ძალოვანი სტრუქტურების რაიმე ტექნიკით მომარაგება ევალება. მაშინ ჩნდება კითხვა, თუ ის მასალები, რაც „ფორუმმა“ გამოაქვეყნა, არ არის საფუძველს მოკლებული, „რაში შეიძლებოდა გამოეყენებინა (საუბარია ასეთ მილიონობით ლარზე) უშიშროების საბჭოს?!

აქედან გამომდინარე ინტერესსმოკლებული არ არის ის დასკვნა, რასაც „ეროვნული ფორუმი“ იძლევა. „– არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი, რომ სწორედ ეს თანხები ხმარდება მიხეილ სააკაშვილის პიარკამპანიას უცხოურ მედიასა და სარეიტინგო კომპანიებში“ – განმარტავს ნოდარ ჯავახიშვილი და აქვე იმასაც ამატებს, რომ ზუსტი ინფორმაციის მოსაძიებლად ძალები აშკარად არასაკმარისია! ჩვენ ფაქტობრივად ვანახეთ ქვეყანას, პარლამენტარებს და ნდობის ჯგუფს, რომ მათ ეს ყველაზე კარგ შემთხვევაში გამორჩათ მხედველობიდან, ეს არ არის ძალიან დიდი დანაშაული, დაბრუნდნენ უკან და შეისწავლონ და თუ ეს მართლაც რეალურად სწორი ხარჯია და საიდუმლო უნდა იყოს საზოგადოებისთვის, რასაკვირველია, ეს მე არ უნდა მითხრან, მაგრამ გამოვიდნენ და განაცხადონ რომ ეს არის სახელმწიფოებრივი ხარჯები და ეს ბიუჯეტური პროცესის დარღვევისთვის დაისაჯა ხალხი“! – აცხადებს ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი.

ამ ყველაფრის ფონზე სიტუაცია მართლაც რომ საინტერესო და ყურადსაღებია, საინტერესოა ისიც, თუ რამდენად დაკმაყოფილდება ფორუმის მოთხოვნა და მოახერხებენ თუ არა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები ამ საკითხით დაინტერესებას. ის უხილავი სხეული, რომელსაც სინათლეც კი ვერ უსხლტდება, მზადაა შთანთქოს ყოველივე.

**ლუკა წერეთელი**

ინფორმაცია

## საქართველოს პრეზიდენტმა ჰოლბრუკის სახელი ორდენით უკვდავყო

**საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ამერიკელ დიპლომატ რიჩარდ ჰოლბრუკს გარდაცვალების შემდეგ წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი მიენიჭა.**

**ამის შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.**

**– მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისა და დემოკრატიის განვითარების, ქართულ-ამერიკული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ქართველი ერის განსაკუთრებული მხარდაჭერისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური წარმომადგენელი ავღანეთსა და პაკისტანში რიჩარდ ჰოლბრუკი, სიკვდილის შემდეგ, წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დაჯილდოვდა, – ნათქვამია განცხადებაში.**

**ამასთან, ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, რიჩარდ ჰოლბრუკის გარდაცვალებით მსოფლიომ დაკარგა იშვიათი მშვიდობისმყოფელი, მისმა ქვეყანამ დიდი ამერიკელი და ამერიკულ ფასეულობათა დამცველი მთელ მსოფლიოში, პირადად მან კი სანდო მეგობარი.**

**ამასთან ერთად, დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას რიჩარდ ჰოლბრუკის სახელი მიენიჭება.**

**შესაბამისი ინიციატივა პრეზიდენტ სააკაშვილს ეკუთვნის.**

**როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, აღნიშნულ საკითხზე თბილისის საკრებული უახლოეს დღეებში, პირველივე სხდომაზე იმსჯელებს.**

## ევროპარლამენტი რუსეთს მუდამ შეახსენებს, რომ იგი ოკუპანტია

**ევროპარლამენტმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახალი ანგარიში გამოაქვეყნა. ამჯერად დოკუმენტის ავტორი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტია.**

**ევროპარლამენტის წევრები 2008 წლის ომის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების დარღვევის გამო მწუხარებას გამოთქვამენ და აღნიშნავენ, რომ ფაქტს ასობით ადამიანი ემსხვერპლა, ათობით ათასი კი უსახლკაროდ დარჩა.**

**„ჰუმანიტარული ნორმების დარღვევა დაუსჯელი არ უნდა დარჩეს“, – ნათქვამია დოკუმენტში.**

**ანგარიშში ასევე წერია, რომ რუსეთს ამ დრომდე არ შეუსრულებია „ცეცხლის შეწყვეტის“ შესახებ 6-პუნქტიანი შეთანხმება.**

**გარდა ამისა, ევროპარლამენტის ანგარიშში დეპუტატები წუხილს გამოთქვამენ იმის გამოც, რომ ქართული სოფლების „განზრახ განადგურება“ მოხდა.**

**– საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ ის დიდი ხანი არ მოიხსნება დღის წესრიგიდან. საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან რუსეთის მიმართ მუდმივად მოხდება იმის შეხსენება, რომ ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორია და აქვს ვალდებულებები, რომლებიც უნდა შეასრულოს, – განუცხადა ჟურნალისტებს აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას ქართველმა დეპუტატმა გიგი წერეთელმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

„წადი შენი ქართული განათლებაც“!..

# მოაზროვნე „ტიპები“ და ქართული განათლების „მდგრადი“ უპერსპექტივობა

**„რისთვის ვისწავლე“? ეს ფრაზა საკმაოდ ხშირად ისმის თანამედროვე ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილისგან, რომლებიც უნივერსიტეტების დამთავრების შემდეგ პირველ რიგში, საკუთარი პროფესიით ცდილობენ დასაქმებას. მათ კი, ვინც ადრევე ხვდება, რომ უაზრო მარათონში ჩაებნენ, თვალი უცხოეთისკენ უჭირავთ. პრინციპში სხვანაირად არც შეიძლება იყოს იქ, სადაც ახალგაზრდა ჩინოვნიკი ახალგაზრდას ახალგაზრდობას უწუნებს და არა ცოდნას.**

დასაქმება და განათლება – ამჟამად ქვეყანაში ეს ორი უმთავრესი პრიორიტეტია დეკლარირებული. დიდი სიბრძნე არ სჭირდება იმას, რომ პირველი საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია, რომ მეორე წარმატებული იყოს. თავად განათლების რეფორმა, „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია. ერთიანი ეროვნული გამოცდების არსებული ფორმატი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ცალკე მსჯელობის თემაა, რამდენად ხარისხიანია ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების მიერ სტუდენტისთვის მიცემული განათლება. მაგრამ სახელმწიფოებრივ უბედურებად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ქართველ ჩინოვნიკებსა თუ ქართული კომპანიების მესვეურებს ქართული უმაღლესი განათლებამიღებული ახალგაზრდობა დიდად არ ხიბლავთ. ამის გარდა, ვფიქრობ, რაც ყველაზე მთავარია, თავიანთი დადგენილი კრიტერიუმებით, უპირველესად, ჩრდილს აყენებენ ქართულ უმაღლეს სკოლას, ქართულ განათლებას და მისი მიღების მსურველებსაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვეყნის იმიჯზე.

სამი-ოთხი სამინისტროსა და მათ დაქვემდებარებულ უწყებების გარდა, სხვა უწყებებში ნეპოტიზმისა და პროტექციონიზმის ფაქტებზე საუბრობს ყველა, ვისაც კი არ ეზარება. თუმცა ღიად და აშკარად ამის დადასტურება საკმაოდ გაჭირდება, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ რომ არ არსებობს, ეს ყველამ იცის.

რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, ამ მხრივ არც თუ სახარბიელო ვითარებაა ქართულ ბიზნესშიც.

ლამის ყველა უწყება და კერძო კომპანია თუ პატივს დაგდებთ და კონკრეტული ვაკანსიაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მიგიწვევთ, აუცილებლად ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ ურთულესი ეტაპი უნდა გაიაროთ – ტესტირება ზოგად უნარებში. თან, მნიშვნელობა არ აქვს მუშაობას რომელიმე ფარმაცევტულ კომპანიაში იწყებთ, სავაჭრო ობიექტსა თუ სახელმწიფო უწყებაში. ეს ახლა ქართული მოდაა. უფრო სწორად, პოზაა, რომ „ტიპები“ „ვითომდა“ სახელმწიფოებრივად აზროვნებენ.

ერთი მხრივ, უნდა მიიჩნიო, რომ ეს სავალდებულო ეტაპია და უწყებებსა და კომპანიებში აინტერესებთ, რამდენად ერუდირებული და განათლებულია ზოგად საკითხებში მათი შესაძლო თანამშრომელი, მაგრამ გასაკვირი აქ მხოლოდ ისაა, რომ ვაკანსიის გამომცხადებლები, მხოლოდ ბოლოს ინტერესდებიან, თუ რამდენად პროფესიონალია კონკურსანტი კონკრეტულ სფეროში. პირველ ეტაპზე სწორედ ეს ამსგავსებს „სავაკანსიო“ კონკურსებს აბსურდის თეატრს. ვთქვათ, თუ თქვენ კომპანიაში ან უწყებაში გესაჭიროებათ იურისტი, იმით კი არ უნდა დაინტერესდეთ, რამდენად ერკვევა ის იურიდიულ ნორმებში ან ფლობს უცხო ენას და ასე შემდეგ, არამედ ამოხსნა თუ არა ტესტი ზოგად უნარებში. თუ სხვა კონკრეტული კრიტერიუმი არ არის გათვალისწინებული ამ ტესტებში – გულწრფელობასა და ზოგად ერუდიციასთან დაკავშირებით, მაშინ რა გამოდის, ის რომ ამ ტესტებში კონკურსანტის იძულებით მონაწილეობით უნდობლობა უცხადდება წარმატებულ ერთიან ეროვნულ გამოცდებს? ეს ეტაპი ხომ მათ უკვე წარმატებით დაძლიეს. რა თქმა უნდა, დემაგოგ ოპონენტებს არც იმის თქმა გაუჭირდებათ, თუ ერთხელ ჩაბარებული აქვს, რა მოხდა მეორედაც რომ ჩააბაროსო. არც არაფერი, მაგრამ თუ ეს ტესტი მის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება და ვთქვათ, იმავე იურისტს კიბერნეტიკოსისთვის აუცილებელი „ზოგადი განათლება“ არ უნდა მოსთხოვო. ან პირიქით, კიბერნეტიკოსი იურიდიულ ნორმებზე არ უნდა ამსჯელო.

ამას გარდა, დასტური იმისა, რომ უწყებები და კომპანიები ქართულ განათლებას არ აღიარებენ, არის მოთხოვნები, რომლებსაც ეს უწყებები და კომპანიები ვაკანსიების გამოცხადებისას აქვეყნებენ და საკმაოდ უტიფრად, ისე, რომ არც კი ესმით მისი შინაარსი – დასაქმებაზე პრეტენზიის გამომხატველს მაგისტრატურა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში უნდა ჰქონდეს დამთავრებული. მაშინ, გამოდის, რომ ეს უწყებები და კომპანიები ღიად იძახიან, არ გვჭირდება ქართული განათლებამიღებული სპეციალისტები და მეორე ის, რომ ამ ფორმით ვაკანსიის გამომცხადებელნი ათასობით საკუთარი თანამოქალაქის დისკრიმინაციას ახდენენ.

ისე, თუ პროცენტულად გავიანგარიშებთ, დღეს ჩვენი თანამოქალაქეების სოციალური ფონის გათვალისწინებით, მხოლოდ 1 პროცენტს თუ შეუძლია უმაღლესი განათლება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიიღოს. მაგრამ აქ პრობლემა სხვა რამეშია. თუ თავად სახელმწიფო უწყებები არ აღიარებენ ქართულ უმაღლეს განათლებას, მაშინ რატომ ხარჯავს სახელმწიფო მილიონებს სტუდენტებისა და მაგისტრანტების დასაფინანსებლად?

პრობლემის უკეთ გააზრებისთვის „ჯი-ეიჩ-ენმა“ ბოლო 6 თვის განმავლობაში ჩაატარა ექსპერიმენტი, რომლიც მიზნად ისახავდა გაგვერკვია, რამდენად ითვალისწინებენ უწყებები თუ კომპანიები მათ მიერ გამოქვეყნებულ ვაკანსიებზე დაწესებული მოთხოვნებისას ცალკეული პირების შეთავაზებებს.



იხ. 4 გვ.

◉ „წადი შენი ქართული განათლებაც“!..

# მოაზროვნე „ტიპები“ და ქართული განათლების „მდგრადი“ უპერსპექტივობა



**(მესამე გვერდიდან)**

სახელმწიფო უწყებაში, ცალკეულ კომპანიებში, ფონდებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, სულ 134-გან, გავგზავნეთ კონკრეტული პირების განაცხადები (CVძ. ერთადერთი აღმოჩნდა სახალხო დამცველის აპარატი, რომელმაც კონკურსში მონაწილეობის მსურველი მიიპატიჟა და ცალკეული ეტაპების გავლის შემდეგ თავაზიანად აცნობა, რომ იგი არ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ კრიტერიუმს. სადავო არაფერი გვაქვს.

სხვა 133 ვაკანსიის გამომცხადებელს კი „გლეჯვა“ CV-ს პატრონი გასაუბრებაზე არც დაუბარებია. ამ ფაქტმა ჩვენც დაგვაეჭვა, რომ უმეტეს შემთხვევაში ვაკანსიები თვალის ასახვევად ქვეყნდება, თორემ ვაკანსიის „პატრონმა“ იმთავითვე იცის კონკურსს ვისთვისაც აცხადებს.

ახლა კი რამდენიმე კონკრეტული მაგალითი. დანიშვნიდან რამდენიმე ხანში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ საზოგადოებას ამცნო, რომ აცხადებდა კონკურსს მთელ რიგ ვაკანტურ თანამდებობებზე.

„ჩვენ წარვმართავთ საკადრო პოლიტიკას ნულოვანი ნეპოტიზმით“, – ამ დევიზით გამოცხადებული კონკურსის ერთი კურიოზი ის გახლდათ, რომ ერთ-ერთმა კონკურსანტმა, რომელმაც ყველა ეტაპი წარმატებით გაიარა, ახალგაზრდა მინისტრისგან პასუხად „არა“ იმის გამო მიიღო, რომ კანდიდატი ახალგაზრდა იყო. რაც მთავარია, ნეპოტიზმი არაა. არგუმენტი კი – შეუვალი. ისე, პრეზიდენტს ახალგაზრდობის გამო რომ დაეწუნებინა თავად მინისტრის კანდიდატურა, მაშინ იქნებოდა ვერა ქობალია მდგრადი განვითარების მინისტრი?

ესეც არაფერი. როდესაც მინისტრს დასჭირდა, კონკურსის გამოცხადებაზე საერთოდ უარი განაცხადა და ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს უფროსი თანამდებობაზე მხოლოდ პირადი გადაწყვეტილებით დანიშნა.

სააგენტოს უფროსმა ქეთი ბოჭორიშვილმა „ჯი-ეიჩ-ენს“ დაუდასტურა, რომ კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია და დასძინა, – „რაც შეეხება ჩემს დანიშვნას, მე წარვადგინე სამინისტროში სპეციალური გეგმა, თუ როგორ უნდა გააგრძელოს მუშაობა სააგენტომ და განიხილეს ჩემი წინადადებები. გაითვალისწინეს ჩემი გამოცდილება და დამირეკეს – დანიშვნის შესახებ მაცნობეს“.

ცოტა უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ „დავწერე, წარვადგინე, დამნიშნეს“ რალაციით ჰგავს „მივედი, ვნახე, გავიმარჯვე“.

„ჩვენ გვაქვს კონკრეტული ამოცანა – საქართველოს ეკონომიკა უნდა დავაყენოთ ფეხზე, გავაძლიეროთ მცირე ბიზნესი, შემოვიყვანოთ ბევრი ინვესტორი და ტურისტი ქვეყანაში და, რა თქმა უნდა, უნდა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და შემცირდეს უმუშევრობა“, – ამბობდა ვერა ქობალია მაშინ, როდესაც კონკურსების ბუმი გამოაცხადა. სწორედ იმ დღეს უსაყვედურა მინისტრმა ქართველ ბიზნესმენებს, თქვენთვის ფორუმებს ვაწყობ, თქვენ კი გძინავთო. თუმცა, მას შემდეგ ეკონომიკის სამინისტროს ჩინებს, მინისტრზე რომ არაფერი ვთქვათ, ისე ერიდებიან ბიზნესფორუმებს, როგორც გონიერი კურდღელი მოერიდება მგელთან შეხვედრას. როგორც იტყვიან, სულ მისხალ-მისხალ გვაქვს დათვლილ-აღრიცხული, რომელ ფორუმზე ვინ მივიდა, რამდენი ხანი დაჰყო და რა სეფე სიტყვა ბრძანა. შესაბამისად ამ კუთხით ჩვენთან შემოდავებას აზრი არ აქვს.

ახლა ისევ თემას მივყვეთ. ამას წინათ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილისა და ამავე დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა.

მინისტრმა სავალდებულოდ მიიჩნია, რომ მისი მომავალი თანამშრომლები აუცილებლად უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრები უნდა ყოფილიყვნენ. პირობა კი შემდეგი სახით იყო ფორმულირებული – „აშშ-ის ან ევროპის უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული მაგისტრის აკადემიური ხარისხი სამართალში (LLMძ“.

ამ ყველაფრიდან ნათელია, რომ ვერა ქობალია და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ აღიარებენ არა მარტო ქართული უმაღლესი სასწავლებლების მიერ მინიჭებულ ხარისხს, არამედ, არც – კანადის, ისრაელის, თურქეთისა და სხვა ასზე მეტი სახელმწიფოს მიერ მომზადებულ სპეციალისტებსა თუ მინიჭებულ ხარისხს.

ასეთი დამოკიდებულება კერძო სექტორის მხრიდანაც შეურაცხმყოფელია ქვეყნისთვის, მაგრამ ვერ შეედავები, მით უფრო, თუ ამას კანონი არ უკრძალავს, მაგრამ სახელმწიფო უწყების მხრიდან ასეთი განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, თავხედობაა, სხვა მორალური კრიტერიუმებით რომ არ გავზომოთ. თუ ასეთი სპეციალისტი მართლაც გჭირდება, ეს პრივილეგიებში ჩაუთვალე ცალკეულ კონკურსანტს და არა აუცილებელ მოთხოვნად. გასაგებია, რომ მინისტრი თავად არ დაწერდა ამ ყველაფერს, მაგრამ მას ხომ შეუთანხმეს ეს კრიტერიუმები მის მიერ კონკურსით შერჩეულმა ჩინოვნიკებმა? ან იქნებ ეს ყველაფერი სულაც კაპრიზი იყო შესაბამის თანამდებობაზე უკვე „შერჩეული“ კადრების დასანიშნად? რა თქმა უნდა, ადამიანი არ უნდა იყო ეჭვიანი, მაგრამ ეს ეჭვი საფუძველს მოკლებულია?

კიდევ ერთი, როგორც იტყვიან „გველის თავი“! უმეტეს შემთხვევაში ცალკეული უწყებები და კომპანიები არც კი ასახელებენ, თუ რამდენია კონკურსის ცალკეული ეტაპებისთვის გამსვლელი ქულა. თუ დაბეჯითებით გინდათ მოხვდეთ კონკრეტულ უწყებაში და იცით რომ წელს „იქ“ მოსახვედრად საჭირო იყო მინიმუმ 70 ქულა მოგეგროვებინათ, მომავალ წელს ეს ბარიერი შეიძლება სულაც 69 ან 68 იყოს (ეს ის ორი ქულაა, რომელიც გასულ წელს დაგაკლდათძ ან კიდევ 71 ან 72 (ეს კი ის ორი ქულაა, რომელიც მომავალ წელს დაგაკლდებათძ. რა თქმა უნდა, განმარტებები არც ერთ შემთხვევაში არ დააყოვნებს და გეტყვიან, რომ ერთ შემთხვევაში „კონკურსია დაბალი“, მეორე შემთხვევაში კი „მოთხოვნების კრიტერიუმი გამკაცრდა“. მოკლედ ისე „შეკერავენ და გაჭრიან“, როგორც სურთ.

ეს ყველაფერი იმ პირობებში ხდება, როდესაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება აცხადებს, რომ მისთვის განათლების სისტემა და დასაქმება პრიორიტეტულია. ისიც გასაგებია, რომ ქვეყანაში შრომის ბაზარი ძალიან მწირია. მაგრამ სახელმწიფოებრივი პოზიციიდან გამომდინარე, აბსოლუტურად მიუღებელია, როდესაც ერთი უწყება მეორე უწყების „პროდუქციას“ იგნორირებას უკეთებს. უფრო უარესია, როდესაც ე.წ. კონკურსები საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად ტარდება და ათასობით ადამიანს ეს ყველაფერი უსამართლობის განცდას უჩენს.

„რისთვის ვისწავლე“! ეს ფრაზა საკმაოდ ხშირად ისმის თანამედროვე ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილისგან, რომლებიც უნივერსიტეტების დამთავრების შემდეგ პირველ რიგში, საკუთარი პროფესიით ცდილობენ დასაქმებას. მათ კი, ვინც ადრევე ხვდება, რომ უაზრო მარათონში ჩაებნენ, თვალი უცხოეთისკენ უჭირავთ.

პრინციპში სხვანაირად არც შეიძლება იყოს. იქ, სადაც ახალგაზრდა ჩინოვნიკი ახალგაზრდას ახალგაზრდობას უწუნებს და არა ცოდნას, სადაც შეუძლიათ გითხრან „წადი შენი საქართველოში მიღებული განათლებაცო“, რა თქმა უნდა, იფიქრებ, რომ ქართული განათლება მდგრადად უპერსპექტივოა.

**გოჩა მირცხულავა,**
**„ХИ-ეიჩ-ენი“**

◉ ინფორმაცია



## რეინჯერებს პოლონეთის მთავრობა გადაამზადებს

**ქართველ მეტყევეებსა და დაცული ტერიტორიების რეინჯერებს პოლონეთის მთავრობა გადაამზადებს.**

**შესაბამისი გადაწყვეტილება გარემოს დაცვის სამინისტროში, უწყების ხელმძღვანელ გოგა ხაჩიძესა და პოლონეთის საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრს შორის გამართულ შეხვედრაზე იქნა მიღებული.**

**ამავე შეხვედრაზე დაკონკრეტდა, რომ ქართველი მეტყევეების გადამზადებისთვის შეიქმნება სპეციალური ცენტრი.**

ХИ-ეიჩ-ენი



◉ ინოვაციური ბიზნესი

# პრიორიტეტი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაკნინ-გავაუფასუროთ!

**ბიზნესის განვითარების გლობალურმა პროცესმა მას ახალ-ახალი მიმართულებები შესძინა. იგი თანდათან შეიჭრა თვით იმ სფეროშიც, რომელმაც სათავე დაუდო ბიზნესის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის ჩასახვასა და განვითარებას. ეს მეცნიერების სფეროა.**

ამის შედეგად, რაც ლოგიკური და დინამიური პროცესი იყო, ერთ-ერთ პრიორიტეტულ პოზიციად და მიმართულებად გამოიკვეთა, ერთი მხრივ, ბიზნესის მეცნიერული უზრუნველყოფა და, მეორე მხრივ, ბიზნესი მეცნიერებაში. ამან წარმოშვა მომავლის ხედვის ახალი, გლობალური მნიშვნელობის პრიორიტეტი, რომელიც კვალიფიცირდება როგორც „ცოდნის“, ანუ „ინოვაციური ბიზნესი“. ეს მიმართულება დღითი დღე მძლავრობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და სულ უფრო მეტ წახნაგს იძენს.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ უმეცნიეროდ თითქმის წარმოუდგენელია ჯანსაღი ბიზნესის განვითარება. ბიზნესის დღევანდელი მიღწევები განპირობებულია სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, რის შედეგადაც შეიქმნა ბიზნესის სრულიად ახალი მიმართულებები.

მეცნიერების განვითარების შედეგად დასაბამი მიეცა ახალ ტექნოლოგიებს, ახალი სახის საქონლის გამოშვებას, ახალ და სრულყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, კომპიუტერულ და რობოტიზებულ სისტემებს, მოდერნიზებულ მენეჯმენტს და ა. შ.

მეცნიერების განვითარება თანდათანობით უფრო მეტად ხდება ორიენტირებულ მცირე, საშუალო და დიდ ბიზნესზე, ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ მოტივაციებზე, მომავლის ტენდენციებზე.

მეცნიერების განვითარებასა და წინსვლაში სახელმწიფოს როლი და ფუნქცია განსაკუთრებული და შეუქცევადია, რაც ძირითადად გულისხმობს მეცნიერების ეკონომიკურ, სამართლებრივ და სოციალურ უზრუნველყოფას, ამასთან, მორალურ-ფსიქოლოგიური პირობების გაუმჯობესებას. მეცნიერებას კი, თავის მხრივ, ხელეწიფება, რომ ყოველივე ამის უკუგება სახელმწიფოს უსწრაფესად და გაათმაგებულად მისცეს.

მეცნიერების ნაწილობრივ კომერციალიზაციასთან ერთად სახელმწიფომ საბიუჯეტო, პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსებით უნდა იზრუნოს მეცნიერტევადობის დონის მკვეთრ ამაღლებაზე, რითაც უპირატესად განისაზღვრება სახელმწიფოს სიძლიერე.

მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებში გათვითცნობიერებულ ადამიანს უკვე კარგად ესმის, რომ XXI საუკუნეში მსოფლიო ლიდერის პოზიციებს დაიკავებენ მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ წარმატებით ივაჭრონ მეცნიერული იდეებითა და მაღალი ტექნოლოგიებით, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი, რომლებიც წარმატებით განავითარებენ ცოდნის ეკონომიკას.

აქედან იკვეთება, რომ უკვე ახლა ერთ-ერთ ამოუწურავ და ყველაზე მძლავრ რესურსად ითვლება ინტელექტუალური რესურსი, რაც თანდათან უფრო თვალსაჩინო ხდება. ეს ფენომენი ჩვენგან ახლებურ დამოკიდებულებას მოითხოვს.

მეცნიერული და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე მივდივართ დასკვნამდე, რომ ცოდნის ეკონომიკის კატეგორიის აღიარებამდე მიგვიყვანა მსოფლიო საინფორმაციო რევოლუციებმა.

ტრადიციულად ეკონომიკურ მეცნიერებაში ითვლება, რომ ეკონომიკის ზრდა დამოკიდებულია სამ ძირითად ფაქტორზე: **მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე; კაპიტალზე,** რომელიც მოიცავს საწარმოო საშუალებებს, და **შრომაზე.** თანამედროვე პირობებში მათ დაემატა ახალი, მეოთხე ფაქტორი – **საინფორმაციო.** ახლა ეკონომიკის ზრდა გადამწყვეტწილად ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენებაზეა დამოკიდებული, განსაზღვრავს რა ინოვაციურ განვითარებას და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

ამის შესაბამისად, საქართველოსთვის, თავისი დიდი მეცნიერული ტრადიციებისა და მიღწევების, აგრეთვე ჯერ კიდევ მდიდარი და ღონიერი მეცნიერული პოტენციალის გათვალისწინებით, მსოფლიო ბაზარზე მომგებიანად (თავის სასარგებლოდძ გაღწევის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება სწორედ ინტელექტუალური პროდუქტია, რომლის პრიორიტეტი არავითარ შემთხვევაში არ დავაკნინ-გავაუფასუროთ.

ამდენად, აბსურდულია და ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ უამისოდ ესა თუ ის ქვეყანა რაიმე წარმატებებს მიაღწევს.

**ომარ ქეშელაშვილი,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე – ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.**

# კეთილმეზობლური სულისკვეთებით

**ირანის ისლამური რესპუბლიკა ანგარიშგასაწევი მოთამაშეა მსოფლიოში გლობალური ენერგეტიკული ინტერესებისა და რეგიონში გეოსტრატეგიული ძალების განაწილების ასპექტით. 2004 წლის აპრილში საფრანგეთის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ბატონმა ჟაკ შირაკმა ბრძანა: „ირანი არის საფრანგეთის მთავარი პარტნიორი რეგიონში და ძომაგი რეგიონული სტაბილურობის... თეირანი და პარიზი ზიარად ფლობენ იდენტურ შეხედულებას ბოლო დროს ერაყში განვითარებულ საკითხებზე. საფრანგეთს სწამს, რომ ირანის დამოკიდებულება ერაყის მიმართ ემთხვევა მსოფლიოსა და რეგიონის ქვეყნების ინტერესებს“.**

ირანის ისლამური რესპუბლიკა ერთი პირველთაგანია, რომელმაც ცნო დამოუკიდებელი საქართველო. ირანი იმთავითვე მტკიცედ იცავდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპს. ირანის ისლამური რესპუბლიკის პოზიცია ამ საკითხში არ გადასინჯულა.

სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინათ ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარების ტემპებსა და ინტენსიურობაში იჩინა თავი შენელების ტენდენციებმა. ფრიად მისასალმებელია, რომ ამა წლის 7-8 ნოემბერს საქართველომ და ირანმა გადადგეს მტკიცე ნაბიჯი ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის გაშლა-გაღრმავებისკენ: ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონი მანუჩეჰრ მოთთაქის ოფიციალური ვიზიტის დროს ხელი მოეწერა შეთანხმებას ირანსა და საქართველოს შორის 2011 წლის დასაწყისიდან უვიზო მიმოსვლის შესახებ, ბათუმში გაიხსნა ირანის გენერალური საკონსულო, რომელიც 83 წლის განმავლობაში იყო დახურული, შედგა ორი ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორების წარმომადგენლების საქმიანი საუბარი, დაისახა გეგმები ტურიზმის, საბანკო საქმის, ენერგეტიკისა და სხვა დარგებში თანამშრომლობის გაღრმავებისა და ურთიერთობის დონის ამაღლების შესახებ.

ბატონ მოთთაქის მეტად მნიშვნელოვანი და კონსტრუქციული საუბარი ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტთან ბატონ მიხეილ სააკაშვილთან: „საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების აუცილებლობასთან ერთად, სპარსული ენის სწავლების აუცილებლობასაც გაესვა ხაზი. ჩემს კოლეგას გრიგოლ ვაშაძეს დავპირდი, რომ ქართველ სტუდენტებს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავიყვანთ და სპარსულ ენას შევასწავლით, საქართველოში კი სპარსული ენის სპეციალისტები ჩამოვლენ, რომლებიც სტუდენტებს ენას ქართულ უნივერსიტეტებში შეასწავლიან“, – განაცხადა მოთთაქიმ.

საქართველოს საზოგადოებრიობამ დადებითად შეაფასა ეს მნიშვნელოვანი ვიზიტი და მიღწეული შედეგები. მე ვიზიარებ ბატონ ჰამლეტ ჭიპაშვილის აზრს, რომ „ირანის საქართველოში გააქტიურება პოლიტიკური თვალსაზრისით არის გამართლებული. კავკასიაში მოთამაშე აშშ-ს, რუსეთსა და თურქეთს, ირანი ემატება, რაც გაზრდის დიდად პასუხისმგებლობას, კონკურენციას, შეცვლის თამაშის წესებს და თუ ვინმე მოიგებს ამ საქმიდან, უპირველესად საქართველო იქნება“ (გაზ. „საქ. რესპ.“, 18 ნოემბერი).

მაგრამ, „ერთ კასრ თაფლში ერთი კოვზი კუპრის ჩაგდების“ მიზნით, ზოგიერთებმა განაცხადეს: „30 წლის წინ ირანი აზიაში ყველაზე პროგრესული ქვეყანა იყო, შეშურდათ ამერიკელებს და ინგლისელებს და მოუწყვეს რევოლუცია“, „ირანელი ბნელეთის მოციქულები აიათოლები...“, „ირანი ჩაკეტილი და იზოლირებული ქვეყანაა“, „ირანი ეძებს გამოსავალს იზოლირებულობის დაძლევის მიზნით“, „დასავლეთი ისლამურ ირანს თავის უდიდეს მტრად მიიჩნევს“, „ყველგან, სადაც ირანი გამოჩნდება, მისი ბირთვული პროგრამაც დგება დღის წესრიგში“, „მშენებლობის საქმეში ირანელებს არანაირი სტანდარტი არ აქვთ“, „საქართველომ აირჩია გზა – განვითარება დემოკრატიის გარეშე“, „ისლამური სამყაროსთვის საქართველო გახდება შტაბ-ბინა“, „საეჭვოა, რიგით ქართველს ირანი ერჩივნოს რომელიმე ევროპულ ქვეყანას“ და სხვ.

დიდია ალბათობა იმის, რომ აღნიშნული შეფასებები და გამოთქმები მომდინარეობს იმ ვერსიიდან, რომელსაც ზოგიერთი ქვეყნების პრესა და რადიომაუწყებლობა მაღალპროფესიულ დონეზე, თითქმის ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ავრცელებს ირანის შესახებ: „ისლამურ ირანში ფუნდამენტალისტ კლერიკალების მცირე ჯგუფს მძევლად აყვანილი ჰყავს მოსახლეობა“, „ჩალმოსნები უხეშად არღვევენ ადამიანის უფლებებს“, „იზოლაციის წნეხის ქვეშ ჰყავთ მოქცეული ხალხი“, „ისლამური ირანი არის ტერორიზმის დონორი“, „თავისი ბირთვული ამბიციებით ირანი საფრთხეს უქმნის მსოფლიო თანამეგობრობას“, „თავისუფალმა ერებმა არ უნდა მისცენ ნება ირანს ბირთვული იარაღის შექმნის“ და სხვ.



ქართულ-ირანული მოლაპარაკება

აღნიშნული ვერსიის მასშტაბური ტირაჟირების მიზნით ყოველწლიურად ოფიციალურად იხარჯება დიდი თანხები.

იბადება კითხვა: რა ცოდნას ფლობენ და რამდენად იცნობენ დასავლეთის მეცნიერულ და კულტურულ ფასეულობებს „იზოლირებულ და ჩაკეტილ“ თეოკრატიულ ქვეყანაში მცხოვრები ბავშვები, ახალგაზრდები და საერთოდ მოქალაქეები?

ირანის კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს საკითხები: „ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს უფასო განათლება და ფიზიკური აღზრდა. შეღავათი დაუწესოს და ფართოდ დანერგოს უმაღლესი განათლება“ (მე-3 ქვეთავი). „მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და ისლამის სფეროებში კვლევითი სულისკვეთების გაძლიერების მიზნით შექმნას შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და წაახალისოს მკვლევრები“ (მე-4 ქვეთავი).

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 86 ათასი სკოლა, რომლებშიც სწავლობს 16 მილიონამდე მოსწავლე და 100-ზე მეტ უნივერსიტეტში სწავლობს 4 მილიონამდე სტუდენტი, რომელთა შორის 60 პროცენტს ქალიშვილები შეადგენენ; 93 ათას მაგისტრანტიდან და 60 ათას დოქტორანტიდან 60 პროცენტზე მეტი ქალია.

წიგნების გამოფენის საბავშვო განყოფილებაში ჩატარებული გამოკითხვის დროს (თეირანი 1996წ) კითხვაზე „შენი საყვარელი ავტორი“ დაწყებითი კლასების მოსწავლეების მიერ პირველ სამეულში დასახელდნენ:

1. მოსთაფა რაჰმანდუსთი, 2. ჟიულ ვერნი, 3. ჰანს ქრისტიან ანდერსენი. ირანის „საბავშვო წიგნების საბჭოს“ მონაცემების მიხედვით ევროპული ენებიდან სპარსულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურა რაოდენობრივად თითქმის ყოველთვის მეტია საკუთრივ სპარსულ საბავშვო ლიტერატურაზე: 2001 –134-97, 2002 – 145-142, 2003 – 103-161, 2004 – 128-145, 2006 – 180-161, 2007 – 187-84, 2008 – 208-130.

2009 წლის 10-22 ივლისს ქ.ბრემენში გაიმართა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა ოლიმპიადა მათემატიკაში. შედეგი: 1. ჩინეთი 6 ოქროს მედალი, 2. რუსეთი 5 ოქროს, 1 ვერცხლის მედალი, 3. იაპონია 5 ოქროს, 1 ბრინჯაოს მედალი, 4. ირანი 1 ოქროს, 4 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი.

ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ისლამურ ირანს 1980 წელს თავს მოახვიეს ომი ერაყთან, რომელიც გაგრძელდა 1988 წლამდე. იმისათვის, რომ მკითხველს შეექმნას წარმოდგენა, თუ რამდენად სისხლისმღვრელი და მძიმე იყო ეს ომი, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ გაზეთ „Times“-ის ცნობით (31.07. 1985წ), მხოლოდ 1980-1985 წ.წ. ირანმა დაკარგა 1 მილიონი კაცი.

**_ირანის ისლამური რესპუბლიკა ერთი პირველთაგანია, რომელმაც ცნო დამოუკიდებელი საქართველო. ირანი იმთავითვე მტკიცედ იცავდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპს. ირანის ისლამური რესპუბლიკის პოზიცია ამ საკითხში არ გადასინჯულა._**

წიგნის „ირანული ნოველისტიკის 100 წელი“ ავტორი ჰასან მირაბედინი აღნიშნავს, რომ სწორედ ირანისთვის უმძიმესი ომის წლებში, ე.ი. 1980-1988 წ.წ., ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გამოიცა 2000 დასახელების ევროპული ავტორების ნაწარმოებების თარგმანი, კერძოდ, ფ.დოსტოევსკის 60 დასახელება, ჩ.დიკენსის 40 დასახელება, ჯ.ლონდონის 40 დასახელება, ლ.ტოლსტოის 40 დასახელება, ო.ბალზაკის 35 დასახელება, ვ.ჰიუგოს 35 დასახელება. ფრიად პარადოქსული ფაქტი გახლავთ ის, რომ აღნიშნულ პერიოდში თეოკრატიულ ანტიკომუნისტურ ისლამურ ირანში გამოიცა საბჭოთა მწერლის ალექსანდრე ფადეევის წიგნი „ახალგაზრდა გვარდია“, რომელშიც მოთხრობილია კომკავშირელების თავგანწირული ბრძოლის შესახებ ფაშისტური დამპყრობლების წინააღმდეგ.

თემას, თუ რამდენად იცნობს თეოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრები მოქალაქე დასავლურ სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურას დავამთავრებთ შემდეგი ორი ცნობით: 1. ირანელ მკითხველს აქვს საშუალება, მშობლიურ ენაზე გაეცნოს ნებისმიერი ქვეყნის, სკოლის, მიმართულების ავტორის ნაწარმოებებს, მაგალითად ფილოსოფიის დარგში – პლატონით დაწყებული ჰეგელით , მარქსით და ჰაიდეგერით დამთავრებული; 2. 1988 წელს დამთავრდა მარსელ პრუსტის თხზულებათა თარგმანების რვატომეულის გამოცემა. აღსანიშნავია, რომ ყოველი ტომი რამდენჯერმე ხელახლა არის გამოცემული, მაგალითად, პირველი ტომი – ხუთჯერ გამოიცა. კიდევ ერთი საინტერესო ცნობა: „იუნესკოს“ ცნობით, 1995 წელს საბავშვო ლიტერატურის ნომინაციით გამოიცა – ეგვიპტეში 23 წიგნი, თურქეთში 169, ხოლო თეოკრატიულ რესპუბლიკაში 1354 წიგნი.

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს იმის გაგება, თუ რა გამოიცა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს თემატიკასთან დაკავშირებით. მოგახსენებთ, რომ გარდა მრავალი წერილებისა, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ-გაზეთებში ქართველი მეცნიერების, მწერლების, საქართველოს კულტურის, ეკონომიკის და ირან-საქართველოს ურთიერთობების შესახებ, წიგნის სახით გამოიცა: „ვეფხისტყაოსანი“, გამოკვლევა და თარგმანი ფარშიდ დელშადის, ალამე თაბათაბაის უნივერსიტეტი, საქართველოს საელჩოს დახმარებით, თეირანი, 1998; „ვეფხისტყაოსანი“, თარგმანი მოჰამად ქაზემ იუსეფფურის, გილანის უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტის დახმარებით, რაშთი, 2000; „ქართული ზღაპრები“, მთარგმნელი აბოლფაზლ აზმუდე, თეირანი, 1979; დ.ლენგი, „ქართველები“, თარგმანი ქ-ნ როყიე ბეჰზადის, თეირანი, 1984; ე.შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი“, თარგმანი ფრანგულიდან, თეირანი, 1991; ე.შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი“, თარგმანი გერმანულიდან, თეირანი, 1991; რ.მეტრეველი, „საქართველო“, თარგმანი ბ.ამირაჰმადიანის, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა, თეირანი, 1996 (ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავსწ; ბ.ამირაჰმადიანი, „საქართველოს გეოგრაფია“, თეირანი, 1998; ფარვინ მოაზამი, „საქართველო“ (ცნობარი სპარსულ ენაზეწ, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა, თეირანი, 1999; ე.შევარდნაძე, „დიდი აბრეშუმის გზა“, თარგმანი ინგლისურიდან, კასპიის ზღვის კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს საელჩოს გამოცემა, თეირანი, 2001; „ათას ერთი ქართული ანდაზა“ (ქართულ-სპარსული ტექსტებიწ, თარგმანი თეა შურღაიასი და ფარშიდ დელშიდის, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა, თეირანი, 2002; ლ.გეგუჩაძე, „ქართული ენა სპარსულენოვანთათვის, მთარგმნელი ფ.ქომაი, გილანის უნივერსიტეტის გამოცემა, რაშთი, 2004; „თბილისის კეკელიძის სახ.ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსულ ხელნაწერთა აღწერილობა“, ტ.I, შემდგენელი სეიფოლა მოდაბერ-ჩაჰარბორჯი, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა, თეირანი, 2004; ბ.ამირაჰმადიანი, „საქართველო ისტორიის შარაზე“, ცივილიზაციათა დიალოგის საერთაშორისო ცენტრის გამოცემა, თეირანი, 2004; ე.შევარდნაძე, „ფიქრი წარსულზე და მომავალზე, მემუარები“, თარგმანი ქართულიდან შესრულებული ფერეიდნელი ცოლ-ქმრის ალირეზა ასლანისა და ფარვინ თავაზოს მიერ, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა, თეირანი, 2009; კრებული „ირან-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთგავლენა

იხ. 6 გვ.

(მეხუთე გვერდიდან)

(მრგვალი მაგიდის მასალები, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა, თეირანი, 2001; „სპარსული ლიტერატურის ენციკლოპედია, ტომი V (სამხრეთ კავკასიისა და დაღესტნის ირანისტების ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობარი. ტომის ერთი მესამედი – 200 გვერდამდე – ეძღვნება ქართველ ირანისტებს), თეირანი, 2003.

მკითხველს ვაახლებთ ფერეიდნელების მიერ გამოქვეყნებული წიგნების ნუსხას: მოჰამად სეფიანი, „ქართველი ირანელები“, ისპაჰანი, 1979; იმამყული ბათავანი, „საქართველოს გეოგრაფია“, საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, ხანსარი, 1997; მალექ მოჰამად რაჰიმი, „ირანის ქართველები“, ისპაჰანი, 2000; საიდ მულიანი, „ქართველების ადგილი ირანის ისტორიაში, კულტურასა და ცივილიზაციაში, ისპაჰანი, 2000; „ხომეინის ლოცვები, არაბულ-სპარსულ-ქართული ტექსტები, თარგმნა ფერეიდნელმა სასულიერო პირმა მოჰსენ ხუციანიმ, ისპაჰანი, 2001; ნოურუზ ლაჩინანი, „ქართულ-სპარსული ლექსიკონი, ისპაჰანი, 2007; საიდ მულიანი, „აი ია – დედა ენა“, 2009.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 2003 წელს პროფ.ვახუშტი კოტეტიშვილმა გამოსცა ფერეიდნელი ავტორების ქართული ლექსების კრებული – „ფერეიდნელის ოროველა“.

უთუოდ საინტერესო იქნება მკითხველისთვის ცნობა იმის შესახებ, რომ ფერეიდუნშაჰრში (მარტყოფი) ფუნქციონირებს უნივერსიტეტი. რაც შეეხება ქართულ სკოლას, მკითხველს უნდა მოვახსენოთ, რომ მრავალეროვან და მრავალკონფესიურ თეოკრატიულ ირანში ყველა მოქალაქეს აქვს უფლება მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს, იმღეროს, გამოსცეს წიგნები, ჰქონდეს მშობლიური ენის შემსწავლელი წრეები და ასე შემდეგ. მაგრამ უმცირესობად აღიარებულია მხოლოდ რელიგიური უმცირესობები, რომლებსაც აქვთ უფლება მათი რელიგიის წმინდა წიგნის ენაზე ჰქონდეთ ფართო კულტურული ავტონომია (საბავშვო ბაგა-ბაღები, საშუალო სკოლები, კლუბები, ჟურნალ-გაზეთები). რელიგიური უმცირესობის კვოტებით არჩეული დეპუტატი ისლამურ პარლამენტში თავისი რელიგიის წმინდა წიგნის ენაზე დებს ფიცს. კონსტიტუციის თანახმად რელიგიურ უმცირესობებად ითვლებიან ცეცხლთაყვანისმცემლები, იუდეველები და ქრისტიანები. ისლამის მიმდევარი ყველა მოქალაქის შვილები საშუალო განათლებას ღებულობენ სპარსულ ენაზე. ამ თვალსაზრისით ფერეიდნელ ქართველებზეც ვრცელდება ეს წესი.

ახლა ძალიან მოკლედ შევეხოთ ისლამური ირანის „აგრესიულ ზრახვებს“. საქმე ის გახლავთ, რომ მნიშვნელოვანი და მასშტაბური სამხედრო აქციის მომზადებას და მით უმეტეს ჩატარებას სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა უნდა ჰქონდეს, რაც პირველ რიგში აისახება ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტში. ოფიციალური და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით (Military Balanced ირანის სამხედრო ბიუჯეტი 2002 წელს უდრიდა 4,1 მილიარდ დოლარს, საუდის არაბეთის – 21,3 მილიარდ დოლარს; 2005 წელს ირანის სამხედრო ბიუჯეტი უდრიდა 6,2 მილიარდ დოლარს, საუდის არაბეთის – 25,4 მილიარდ დოლარს. რეგიონისა და ჩრდილო აფრიკის 18 ქვეყანას შორის ირანი ამ ასპექტით მე-15 ადგილზეა. ერთ სულ მოსახლეზე საამიროების სამხედრო ბიუჯეტი 33-ჯერ აღემატება ირანის სამხედრო ბიუჯეტს, ყატარის – 24 ჯერ, ისრაელის – 15 ჯერ, კუვეითის – 13 ჯერ, ბაჰრეინის – 7 ჯერ და ა.შ.; ნატოს სამხედრო ბიუჯეტი ერთ სულ მოსახლეზე 8,43 ჯერ აღემატება ირანის სამხედრო ბიუჯეტს.

ექსპერტები ცალსახად აღნიშნავენ, რომ ირანის ძალისხმევა სამხედრო სფეროში თავდაცვითი ხასიათისაა და არ ისახავს მიზნად აქტიურ შემტევ ქმედებებს (ჟურ. „Центральная Азия и Кавказ“, № 2, 2004, შვედეთი, გვ.120).

რაც შეეხება ირანის ბირთვულ პროგრამას, მას საფუძველი დაუდეს დასავლეთის ქვეყნებმა გასული საუკუნის 50-იან წლებში, ხოლო ბუშერის ატომური ელექტროსადგურის პირველი ბლოკის მშენებლობა 1979 წელს დამთავრების სტადიაში იყო (მშენებელი – გერმანული ფირმა). ირანისთვის თავსმოხვეული 1980-1988 წ.წ. ირან-ერაყის ომის დროს მშენებარე ბუშერის ელექტროსადგური მასირებული დაბომბვის ობიექტი გახდა.

# კეთილმეზობლური სულისკვეთებით

ომის შემდეგ ირანის თხოვნა ამ სადგურის მშენებლობის დამთავრების შესახებ მხოლოდ რუსეთმა დააკმაყოფილა (ვრცლად იხ.გაზ. „საქ.რესპ“. 2009 წ.29 სექტემბერი, გვ.7; 2010 წ. 8 სექტემბერი, გვ-6).

ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იმთავითვე აცხადებდა და ამჟამადაც აცხადებს, რომ რელიგიური საწყისები უკრძალავენ მათ მასობრივი განადგურების იარაღის შექმნას, წარმოებას, შენახვას და გამოყენებას. მკითხველს შევახსენებთ, რომ თავსმოხვეული ირან-ერაყის ომის უმძიმეს ვითარებაში, როცა დასავლეთმა სადამ ჰუსეინს მიაწოდა ქიმიური იარაღი, რომელიც მან წარმატებით გამოიყენა ირანელების და საკუთარი მოქალაქეების (ქურთების) წინააღმდეგ (ვრცლად იხილე ამერიკელი ექსპერტის კენეთ ტიმერმანის წიგნში „The Death Lobby. How the West Armed Iraq“. 1991) სწორედ რელიგიურ-ეთიკური საწყისების დაცვის გამო ისლამური რესპუბლიკის დამაარსებელმა აიათოლა ხომეინიმ არ მიმართა ნაცვალგების პრინციპს.




ფერეიდნელი ავტორი ემემყოლი ბათავანი, საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, „საქართველოს გეოგრაფია“, ხანსარი, 1997.

ქვეყნად არსებობენ ავტორიტეტული და კომპეტენტური მოღვაწეები, რომლებსაც სწამთ ირანელების. 1998 წლის შემოდგომაზე საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟისკარ დ' ესტენი ესტუმრა თეირანს. პარიზში დაბრუნებისას ის ჟურნალისტებს შეხვდა.

**ჟურნალისტი: „ხომ არ ეჭვობთ, რომ ირანი ინდოეთსა და პაკისტანს აუბამს მხარს ბირთვულ სრბოლაში“?**

**ჟისკარ დ' ესტენი: „მე არ მგონია, რომ ირანმა ასეთი რამ შემოგვთავაზოს. ირანი შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, ხოლო – რევოლუცია, რომელსაც ამ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი, ფრიად განსხვავდება სხვათაგან, იმიტომ, რომ საზრდოობს რელიგიური ასპექტებით.**

**2500 წლის მანძილზე ირანის ისტორიაში პირველად დადგა დრო, როდესაც მას არც იმპერატორი მართავს და არც შაჰი. ეს ახალი ვითარებაა, რომელსაც, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, შეიძლება თან სდევდეს აღმავლობაც და დაღმავლობაც“.**

**ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ იაპონურ გაზეთ „ასაჰის“ კორესპონდენტისთვის 2007 წლის ნოემბერს მიცემულ ინტერვიუში არასწორ ქმედებად შეაფასა შეერთებული შტატების ზეწოლა ირანზე, როცა ხელთ არ გააჩნია დამაჯერებელი მტკიცებულება ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის შესახებ.**

მეტად საინტერესოა ბატონი აჰმადინეჟადის მიერ წარმოთქმული სიტყვა გაეროში 2005 წლის 20 სექტემბერს, მკითხველს ვაახლებთ ზოგ ამონარიდს ამ სიტყვიდან:

„ირანის ისლამური რესპუბლიკის ბირთვული პოლიტიკის ნიშან-სვეტი არის ბირთვული საწვავის წარმოების უცილობელი უფლება, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან ურთიერთობისა და საფუძვლიანი თანამშრომლობის გაგრძელება ტექნიკურ და სამართლებრივ დარგებში. სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებების გაგრძელება უნდა ჩაითვალოს სააგენტოსთან ირანის ურთიერთობის ჩარჩოში...

საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, რომ ბირთვული საწვავის შესახებ დადებული ხელშეკრულებები საიმედონი არ არის, მათზე დაყრდნობა არ შეიძლება, არ არსებობს ბირთვული საწვავით უზრუნველყოფის საერთაშორისო დოკუმენტი და მრავალ შემთხვევაში პოლიტიკური მიზეზების გამო ეს შეთანხმებები შეჩერებული ან „ჩამოკიდებულ“ მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარე, ირანის ისლამური რესპუბლიკა მშვიდობიანი მიზნებით ბირთვული ტექნოლოგიების მოპოვების პროცესში თავის უცილობელ უფლებად მიიჩნევს ბირთვული საწვავის წარმოების მიზნით ურანის გამდიდრებისთვის ობიექტური გარანტიების მიღებას“.

*„... ირანის ისლამური რესპუბლიკა მზად არის ირანში ურანის გამდიდრების პროგრამის შესრულებისას ნდობისა და გამჭვირვალობის მისაღწევად სერიოზულად ითანამშრომლოს სხვა ქვეყნების კერძო და სამთავრობო სტრუქტურებთან...“*

ყურადღებას განსაკუთრებით შემდეგი ფრაზა იპყრობს: **„... ირანის ისლამური რესპუბლიკა მზად არის ირანში ურანის გამდიდრების პროგრამის შესრულებისას ნდობისა და გამჭვირვალობის მისაღწევად სერიოზულად ითანამშრომლოს სხვა ქვეყნების კერძო და სამთავრობო სტრუქტურებთან...“**

საქმე ის არის, რომ საკუთარი საწვავის გარეშე ატომური ელექტროსადგურის მფლობელი ცალსახად არის დამოკიდებული სხვის გუნება-განწყობაზე. გარდა ამისა ბირთვული საწვავის წარმოება დიდად მომგებიანი ბიზნესია. ირანი დამოუკიდებელი ქვეყანაა და ცდილობს ყველა სფეროში მაქსიმალურად შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და დაიცვას თავისი ინტერესები. ირანი საერთაშორისო თანამეგობრობას სთავაზობს საკუთარ ტერიტორიაზე ფართო თანამშრომლობას საკუთარი ურანის გამდიდრების საქმეში.

მკითხველს მოეხსენება, რომ მსოფლიოს არც ერთი მთავრობა ან კერძო ფირმა არ გამოეხმაურა ირანის ამ წინადადებას.

1978-1979 წ.წ. ანტიმონარქიული, ანტიდასავლური ისლამური რევოლუცია თავისი დინამიურობით, მასშტაბურობით, ხალხის ფართო მასების (11 მილიონი) თავგანწირული ბრძოლით (დაიღუპა 65 ათასი, დასახიჩრდა 100 ათასი კაცი) შეიძლება შეფასდეს როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენა.

ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ რეგიონში კარდინალურად შეცვალა გეოპოლიტიკურ ძალთა განაწილება დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ.

ეს რევოლუცია არ იყო ფუნდამენტალისტ კლერიკალთა ვიწრო წრის შეთქმულებით ინსპირირებული პოლიტიკური აქტი. ცნობილი ამერიკელი ირანისტი ნიკი კედლი წიგნში „თანამედროვე ირანი“ (2003) ხაზს უსვამს იმას, რომ რევოლუცია ირანში ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო: ირანის ისლამური რევოლუცია **„იყო ერთდროულად გამოხატვა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უკმაყოფილებისა, რომელიც აკუმულირდებოდა ათეული წლების განმავლობაში“**. მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლებით დაწყებული, მეოცე საუკუნის 70-იანი წლებით დამთავრებული ნახევრად კოლონიური ირანის ისტორიაში არის ანტიფეოდალური, ანტიმონარქიული, ანტიიმპერიალისტური სახალხო მოძრაობების აღმავლობისა და დაცემის პერიოდი, რომელიც დაგვირგვინდა ისლამური რევოლუციით. შიიტური თემის სასულიერო მესვეურები აღნიშნული მოძრაობების წარმმართველი ძალა ან აქტიური მონაწილეები იყვნენ.

მოსკოვში გამოცემულ მონოგრაფიულ ნაშრომში **„ირანი – ცვლილებები დარგობრივი ეკონომიკის სტრუქტურაში 60-70-იან წლებში“** პროფ.არტემ არაბაჯიანი აღნიშნავს: „1973-78 წლებში ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიტუაცია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა 1978-1979 წ.წ. რევოლუციის გამარჯვების წინამძღვრების შექმნის საქმეში, პირველ ყოვლისა იყო შედეგი ვოლუნტარიზმისა, რომელიც მონარქიამ აირჩია ნავთობის შემოსავლების მკვეთრად გაზრდის შემდეგ. ისეთი სუბიექტური ფაქტორები, როგორიცაა სახელმწიფოს მეთაურის ამბიციურობა, განდიდების მანია, რეალობის გრძნობის დაკარგვა და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აპარატის სრული დამორჩილება უმოკლეს ისტორიულ ვადებში ირანის საზოგადოების მიერ ე.წ. დიდი ცივილიზაციის დონის მიღწევის ქიმერულ იდეას (იგულისხმება განვითარებული ქვეყნების ათეულში შესვლა, ჯ.გ.), გამოიწვიეს ღრმა ეკონომიკური და სოციალური დისპროპორცია, რამაც პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთობლიობაში განაპირობა მონარქიის დამხობა...“. პროფ. ერვანდ აბრაჰამიანი წიგნში **„ირანი ორ რევოლუციას შორის“** (პრისტონის უნივერსიტეტი, 1982) საგანგებოდ აღნიშნავს, რომ შიიტური სამღვდელოება ერთადერთი არასამთავრობო სტრუქტურა იყო, რომელსაც სოლიდური ბაზა ჰქონდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და რომელიც ყველასათვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობდა“. მიუხედავად მმართველი წრეების მიერ თანმიმდევრულად გატარებული პანირანისტული პოლიტიკისა, 60-70-იანი წლების ირანში შეინიშნებოდა იდეოლგიური კონფრონტაციის გაძლიერება პანირანიზმის, პანარაბიზმის, პანთურქიზმის, ქურთული, ბელუჯური ნაციონალიზმის მიმდევართა შორის. ამრიგად, ფეხმოკიდებული „რეგიონული ნაციონალიზმის“ წყალობით ირანი თანდათან შედიოდა ეროვნულ პრობლემათა კრიზისულ ფაზაში; რეგიონის ხელდასმულ „Policeman“-ად მონათლული მოჰამად–რეზა შაჰი მექანიკურად გადაღებული დასავლური ქარგების საფუძველზე ნაჩქარევად და ენერგიულად ნერგავდა შიიტუ-

# კეთილმეზობლური სულისკვეთებით

რი თემის ყოფისა და ცხოვრების წესებისთვის მიუღებელ ფორმებს. ვესტერნიზაციამ ისე გაიტაცა „მოდერნიზატორი“ შაჰი, რომ ისეთ მუსლიმურ ქვეყანაში, როგორიც ირანია, გააუქმა ისლამური კალენდარი, რომელიც აითვლება მექიდან მედინაში მოციქული მოჰამედის გადასახლებიდან (ჰიჯრაძ როდიდან, 622 წ. საშუალო სტატისტიკურმა ირანელმა იგრძნო, რომ კარგავს თვითმყოფადობას, თავის ისტორიულ ფესვებს და მიმართა ტრადიციულ სულიერ და კულტურულ ფასეულობებს, რომელთა შორის მთავარ როლს ასრულებდა ისლამი.

რაც შეეხება საკითხს ირანის ისლამური რევოლუციის სპეციფიკურობის და თვისებრივი განსხვავების სხვა რევოლუციებისგან, ამის შესახებ მკაფიო პასუხს მივიღებთ პროფ. გიორგი სანიკიძის მონოგრაფიაში „შიიზმი და სახელმწიფო ირანში“: „დასავლეთელებისთვის, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ, გასულ რევოლუციებში (1789,1830, 1848ძ დაენახათ ბურჟუაზიის გამარჯვება ტახტისა და ეკლესიის ალიანსზე, ის, რაც ირანში მოხდა, შიიტური სამღვდელოების ალიანსი ბაზარის ბურჟუაზიასა და ინტელექტუალებთან „მოდერნიზატორი“ შაჰის წინააღმდეგ, გაუგებარი იყო... შიიზმის პარადოქსს წარმოადგენს ის, რომ მისი რევოლუციური პოტენციალის კონცენტრაცია მოხდა სამღვდელოების გარშემო. ისლამურ სამყაროში რეალურად მხოლოდ ირანელმა შიიტებმა მიანიჭეს (ნებსით თუ უნებლიეთძ წარმმართველი როლი სამღვდელოებას, ყოველივე ეს კი განპირობებული იყო იმ სპეციფიკური ფუნქციებითა და ადგილით, რომელიც ისტორიული ევოლუციის მანძილზე მოიპოვა შიიტურმა სამღვდელოებამ ირანულ საზოგადოებაში... ხომეინის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციიდან გამომდინარე, ისლამური რევოლუცია ირანში არ წარმოადგენდა მხოლოდ პოლიტიკური და სოციალური ხასიათის მოვლენას. ეს ასევე იყო რევოლუცია შიიზმშიც. მოხდა უზენაესი რელიგიური ავტორიტეტის შიიტური თეორიის რადიკალური ტრანსფორმაცია. ველაიათუ ფაყიჰის კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს იმამათის შიიტური თეორიის რევოლუციური რეინტერპრეტაცია, რომლის მიხედვით თემის ჭეშმარიტი მეთაური შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ მოციქული და მისი შთამომავალი იმამები. ხომეინის თანახმად კი უმაღლეს სამღვდელოებას შეეძლო, აერჩია თავისი რიგებიდან ყველაზე დიდი ავტორიტეტის მქონე რელიგიური პირი, რომელიც მუსლიმური თემის ხელმძღვანელი იქნებოდა როგორც რელიგიის, ისე პოლიტიკის სფეროში და გააგრძელებდა იმამთა საქმეს... ამასთან დაკავშირებით ხომეინი ხაზს უსვამდა ისლამის დინამიურ ხასიათს და სამღვდელოების მიერ ისლამური კანონების ახალი დროის მოთხოვნების შესაბამისად ადაპტირების მნიშვნელობას“.

**ირანის ისლამური რევოლუცია ეყრდნობოდა ადგილობრივ იდეურ-პოლიტიკურ, ადამიანთა, ორგანიზაციულ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფინანსურ რესურსებს. რევოლუციის „ხერხემალი“ იყო მეჩეთის, ტრადიციული ბაზრის და რევოლუციური ინტელექტუალების ალიანსი. მეჩეთი და ბაზარი ფლობდა რევოლუციისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებს. ამრიგად, დამოუკიდებელი ირანის დამაარსებლის აიათოლა ხომეინის განცხადებას „ირანის ბედ-იღბალი უნდა განიხილებოდეს არა ვაშინგტონში, ლონდონში ან მოსკოვში, არამედ თეირანში“ – რეალური და მყარი საფუძველი ჰქონდა. თავად იმამ ხომეინის და მის მიერ დაფუძნებული ისლამური რესპუბლიკა სხვებისგან არ იყო დამადლებული.**

„იმამ ხომეინის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელიც თითქმის ოთხ ათეულ ტომს მოიცავს, მეტად ფართო და მრავალმხრივია. მუსლიმური ღვთისმეტყველების და საზოგადოდ რელიგიის, სამართლის, ფილოსოფიის, ეთიკის, ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის და საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული თხზულებების, ტრაქტატების, სტატიებისა თუ სიტყვების გარდა, მის კალამს ეკუთვნის კულტუროლოგიური ნაშრომები და ფილოლოგიური გამოკვლევები სპარსული და არაბული ლიტერატურის საკითხებზე. ფართოდაა ცნობილი, აგრეთვე, იმამ ხომეინის პოეტური შემოქმედება... „ისლამური რესპუბლიკის“ ხომეინისეული კონცეფცია ემყარება სახელმწიფო მოწყობის რესპუბლიკურ ფორმას თეოკრატიული შინაარსით და გულისხმობს სასულიერო და საერო ხელისუფლების ისეთ სინთეზს, როდესაც უპირატესი და განმსაზღვრელი როლი პირველს ეკუთვნის“ (გრიგოლ ბერაძე.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება მაღალი რანგის ამერიკელი ექსპერტის აზრი აიათოლა ხომეინის შესახებ. 1979 წელს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვენსის მრჩეველი, პროფესორი უილიამ ბრაუნი ასე ახასიათებს აიათოლა ხომეინის: „ძლიერი რელიგიური რწმენის ამ ფიზიკურად სუსტმა დროულმა კაცმა, რომლის იდეებს დასავლეთი ყავლგასულსა და შუასაუკუნეობრივს უწოდებდა, ის შეძლო, რამაც ჭეშმარიტად შეაზანზარა მთელი მსოფლიო... ხომეინიმ გააქარწყლა დასავლეთის მტკიცება იმის შესახებ, რომ რადგან მსოფლიოში სიტუაციებს მხოლოდ პოლიტიკა და სამხედრო ძალა განსაზღვრავს, რელიგიას არ ძალუძს მართოს თანამედროვე საზოგადოება. დიდ სახელმწიფოებთან თავის ბრძოლაში ხომეინი ვაშინგტონსა და მოსკოვს დაუპირისპირდა, მათ არ მისცა ირანის საქმეებში ჩარევის შესაძლებლობა და გაიმარჯვა. წუთისოფელი მან მხოლოდ მაშინ დატოვა, როცა საკადრისი მარცხი აგემა თავის მტრებს“ („ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, II, თბილისი, 1995. გვ.342ძ.

მოკლედ შევეხოთ ირანის ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკის საკითხებს და ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებს. ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შემოღებული იქნა „თვითუზრუნველყოფის“ („ხოდქაფაი“ძ პოლიტიკა: ქვეყნის აბსოლუტურად ყველა წიაღისეული და მატერიალური რესურსის, სამეცნიერო-საინჟინრო კადრების, სამრეწველო სიმძლავრეების მაქსიმალური მობილიზაცია და გამოყენება საკუთარი ძალებით სხვა ქვეყნების კონცესიონერების, ინვესტორების, მრჩევლების და კონსულტანტების გარეშე; სახელმწიფო მონოპოლია საბანკო სისტემაში; მევახშეობის აკრძალვა; კერძო სექტორის მოქმედების სივრცის დაყვანა მცირე ბიზნესისა და მომსახურების სფერომდე და ასე შემდეგ. ფაქტობრივად რევოლუციური მთავრობის პირველი ფუძემდებლური ქმედება ეკონომიკის დარგში ცალსახად მიმართული იყო უცხო კაპიტალისა და მისი ადგილობრივი ლაქიების წინააღმდეგ. ჩვენ ვფიქრობთ, ეკონომიკის სფეროში ამგვარი რადიკალური ანტიდასავლური ზომების მიღების მიზეზი ძევს ისტორიულ გამოცდილებაში: 1. ნახევრად კოლონიურ ირანში განხორციელებული 1905-1911 წლების რევოლუცია (ე.წ. „საკონსტიტუციო მოძრაობა“ძ არის მე-20 საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური მოძრაობა, რომელმაც მძლავრი ბიძგი მისცა რევოლუციურ მოძრაობას აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში და სერიოზული საფრთხე შეუქმნა ინგლისის კოლონიურ ბატონობას ინდოეთში. 1907 წლის 31 აგვისტოს ხელი მოეწერა რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულებას ირანის გავლენის ზონებად დაყოფის შესახებ. ამრიგად, ირანის განმათავისუფლებელი მოძრაობა გაერთიანებული კოლონიური ძალების პირისპირ აღმოჩნდა.

2. პირველი მსოფლიო ომის დროს ნეიტრალური ირანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებული იქნა ოსმალო თურქეთის, რუსეთის და ინგლისის მიერ, ხოლო ბოლშევიკების ემისრების ხელშეწყობით კასპიისპირა რაიონში შეიქმნა გილანის საბჭოთა რესპუბლიკა (1919-1921ძ, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში (ნავთობის საბადოებიძ ინგლისელების მიერ ინსპირირებული იყო სეპარატისტული მოძრაობა.

3. 1941-1945 წლებში ირანი ფაქტობრივად ოკუპირებული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისა და ინგლისის შეიარაღებული ძალების მიერ (1942 წელს მათ შეუერთდნენ ამერიკელებიძ. საბჭოთა ემისრების ხელშეწყობით 1944-1946 წლებში ჩამოყალიბდა პროსაბჭოური ქურთისტანის რესპუბლიკა და სამხრეთ აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ხოლო ირანის სამხრეთ რაიონებში ინსპირირებული იყო რამდენიმე სეპარატისტული მოძრაობა.

4. სახალხო ფრონტის ლიდერის დოქტორ მოსადეყის პრემიერ-მინისტრობის დროს 1951 წლის გაზაფხულზე მიღებული იქნა კანონი ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ. ამ კანონის ცხოვრებაში გატარება ნიშნავდა ირანის ნავთობის მრეწველობაში ინგლისელების ნახევარსაუკუნოვანი ბატონობის დასასრულს. პოზიციების დაცვის მიზნით ინგლისელებმა მიმართეს ყველა საშუალებას. გაიშალა გრანდიოზული ანტიინგლისური სახალხო მოძრაობა, შაჰმა დატოვა ირანი. 1953 წელს გენერალმა ზაჰედიმ მოახდინა გადატრიალება, დააპატიმრეს მოსადეყი, დააბრუნეს შაჰი. აშშ-ის გადამწყვეტი როლი გადატრიალების მოწყობაში 2000 წლის 17 მარტს დაადასტურა სახელმწიფო მდივანმა ქალბატონმა მადლენ ოლბრაიტმა.

რაც შეეხება ნავთობის მრეწველობას, იქ, და საერთოდ ირანში, პოზიციები მნიშვნელოვნად გააფართოვეს და განამტკიცეს შეერთებულმა შტატებმა, შაჰინშაჰური ირანი გახდა მათი სტრატეგიული მოკავშირე, ფაქტობრივად შაჰს ჩააბარეს სპარსეთის ყურის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმე, დამყარდა მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ისრაელთან და სხვა. შაჰინშაჰური ირანი აგრეთვე გახდა რეგიონში ანტისაბჭოური „ჯებირის“ საიმედო რგოლი (თურქეთი, ირანი, პაკისტანიძ.

უცხო ქვეყნების მიერ ირანის საშინაო საქმეებში ჩარევის ზემოაღნიშნული ფაქტების თანმდევი იყო სხვადასხვა ჯურის ემისრების, მრჩევლების, კონსულტანტების „ნავარდი“, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობდა ხელდასმული ხელისუფლების მიერ მიღებული კაპიტულანტური კანონები. ზოგიერთი ქვეყნების ელჩებს მეტი წონა და გავლენა ჰქონდათ ირანში, ვიდრე ქვეყნის პრემიერ-მინისტრს. დამოუკიდებელი ისლამური ირანის ქმედებანი, „თვითუზრუნველყოფის“ პოლიტიკის გატარება რეალურად აუქმებდა სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა ბატონობას ირანში და „ცუდ“ მაგალითსაც აძლევდა მეზობელი ქვეყნების მოსახლეობას. ამრიგად, ისლამური ირანი უხეშად არღვევდა იმ რეგლამენტაციასა და რეკომენდაციებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დეკოლონიზაციის პერიოდში ყოფილმა კოლონიურმა ქვეყნებმა დაუწესეს მესამე სამყაროს განვითარებად ქვეყნებს. ასეთი საქციელი დასჯადი იყო.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ირანელმა ხალხმა და ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა ახალმა სახელმწიფო სტრუქტურებმა გადალახეს მრავალი სიძნელე: დამხობილი რეჟიმის მომხრეთა, მემარცხენე და მემარჯვენე ექსტრემისტულ დაჯგუფებათა და უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული პერმანენტული ბოიკოტები, საბოტაჟები, მისამართიანი და უმისამართო ტერორისტული აქტები; თავსმოხვეული სისხლისმღვრელი და მომქანცველი ომი სადამ ჰუსეინის სამხედრო მანქანასთან, რომელსაც ფაქტობრივად ეხმარებოდა მთელი დასავლეთი და არაბული სამყარო; ირანის მრავალმილიარდიან ავუარებზე ყადაღის დადება დასავლეთის ბანკებში; ეკონომიკური, სამხედრო ბლოკადა და სხვადასხვა დონის სანქციები; სამ მილიონამდე ლტოლვილი ერაყიდან და ავღანეთიდან. ეს სიძნელეები ირანმა დაძლია.

იხ. 8 გვ.



„დაბადების კოშკი“ – თეირანის ინფორმაციისა და ტელეკომუნიკაციის ცენტრი. სიმაღლე 435 მეტრი (მსოფლიოში სიმაღლის მიხედვით მეოთხე ნაგებობაა). ლიფტის ტვირთამწეობა 700 ტონაა. გათვლილია 7,5-ბალიან მიწისძვრაზე. „დაბადების კოშკი“ აიგო შიიტების მე-12 იმამის – მაჰდის დაბადების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

***ირანის ისლამური რევოლუცია ეყრდნობოდა ადგილობრივ იდეურ-პოლიტიკურ, ადამიანთა, ორგანიზაციულ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფინანსურ რესურსებს. რევოლუციის „ხერხემალი“ იყო მეჩეთის, ტრადიციული ბაზრის და რევოლუციური ინტელექტუალების ალიანსი. მეჩეთი და ბაზარი ფლობდა რევოლუციისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებს. ამრიგად, დამოუკიდებელი ირანის დამაარსებლის აიათოლა ხომეინის განცხადებას „ირანის ბედ-იღბალი უნდა განიხილებოდეს არა ვაშინგტონში, ლონდონში ან მოსკოვში, არამედ თეირანში“ – რეალური და მყარი საფუძველი ჰქონდა.***

# კეთილმეზობლური სულისკვეთებით

(მეშვიდე გვერდიდან) ზოგიერთი ქვეყნის სააგენტოები ავრცელებდნენ ინფორმაციას, თითქოს ირანში შექმნილია წინაპირობა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის დაწყების. კომპეტენტური ექსპერტები აღნიშნავენ, რომ „ირანში გამორიცხულია ანტიისლამური რევოლუცია“, მაგრამ „ქვეყნის განვითარების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ირანს აქვს უნარი ევოლუციის“ („Иранский Сборник“, МГУ, 2004, გვ.72-73ძ.

2009 წელს ორმოცამდე მსხვილი სახელმწიფო საწარმო იქნა პრივატიზებული, ხოლო 80-იანი წლების მიწურულს დაწყებული პრივატიზაციის პროცესი დასრულდება 2015-2016 წელს. დღეს 40 პროცენტზე მეტ საბანკო ოპერაციებს ასრულებენ კერძო ბანკები, რომელთა შორის გამოირჩევა „ბანქე ფარსიან“, რომელსაც აქვს 186 ფილიალი და 3 ჰყავს მილიონი კლიენტი. ეფექტურად ფუნქციონირებს 20-ზე მეტი თავისუფალი ეკონომიკური ზონა.

ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორების მუშაობის ეფექტურობის დონის მაჩვენებელია, მაგალითად ის ფაქტი, რომ 2001 წელს ირანის შრომის ბაზარზე წარდგენილი იყო 340000 სამუშაო ადგილი, 2002 წელს – 390000, 2003– 420000. 2005 წელს ფოლადის წარმოება უდრიდა 10 მილიონ 250 ათას ტონას, 2008 წელს – 17 მილიონ 700 ათას ტონას, პერსპექტიული გეგმა – 2012 წელს 36 მილიონი ტონა, 2025 წელს 55 მილიონი ტონა, 11 მილიონი ტონა საექსპორტოდ. ირანი ავითარებს მანქანათმშენებლობას, საავტომობილო მრეწველობას, ნავთობქიმიას; ირანმა 2009 წელს თანამგზავრი გაიყვანა ორბიტაზე, 2010 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ბუშერის ატომური ელექტროსადგური; ირანმა პირველად დააპროექტა და შექმნა სარადარო-სარაკეტო თავდაცვითი კომპლექსი; ირანის სანაოსნოს პირველი ადგილი უკავია რეგიონში და მეცხრამეტე მსოფლიოში; ირანი კარგა ხანია აშენებს საშუალო წყალწყვის გემებს, 2009 წელს ირანის გემთმშენებლებმა საექსპლუატაციოდ გადასცეს საოკეანო ხომალდი; ირანს 160 ქვეყანასთან აქვს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, კერძოდ, გერმანიასთან, ინდოეთთან, იტალიასთან, რუსეთთან, საამიროებთან, სამხრეთ კორეასთან, საფრანგეთთან, შვეიცარიასთან, ჩინეთთან.

უკანასკნელ 5-6 წლის განმავლობაში პენსიის საშუალო ოდენობა 307 დოლარიდან გაიზარდა 457 დოლარამდე; პენსიონერის და მისი მეუღლის მექაში სალოცავად გამგზავრების ხარჯებს სოციუზრუნველყოფის უწყება იხდის; 5-6 წლის წინ სოფლის ბინადართათვის (23 მილიონიძ დაწესდა პენსია; სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა გავრცელდა სოფლის მაცხოვრებლებზეც იქ, სადაც 20 კომლზე მეტი ბინადრობს; სრულყოფილი დაზღვევა ინვალიდებისთვის – 2200 სული (2005ძ გაიზარდა 300000-მდე;ბინა ხელმოკლეთათვის 1871 ერთეული (2005ძ გაიზარდა 37422-მდე; 2005 წელს მიიღეს – „ახალგაზრდების დაქორწინების გაადვილების კანონი“, რომლის მოცულობა ოთხი გვერდია. მკითხველს მოვახსენებთ მოკლედ ზოგიერთი მუხლის შინაარსს: ხელმოკლე წყვილს აღმოუჩენენ დახმარებას საქორწინო ცერემონიალისა და სტუმრობის გამასპინძლების საქმეში; 3 წლის მანძილზე იფარება ბინის ქირა და უმუშევარ მეუღლეებს 2 წლის განმავლობაში ეძლევათ ფულადი დახმარება; დიდი შეღავათები აქვთ ახლადდაქორწინებულ ჯარისკაცებს; გათვალისწინებულია შეღავათიანი სესხი საცხოვრებელი ბინის შეძენის ან აშენებისთვის.

**ირანის ისლამური რესპუბლიკის კანონმდებლობის და სოცუზრუნველყოფის უწყებების საქმიანობის, არასამთავრობო საქველმოქმედო სტრუქტურებისა და მრავალსაუკუნოვანი ადათწესების ერთობლივი ეფექტი ძმნის ასეთ ვითარებას: 73-მილიონიან ირანში ფიზიკურად არ არსებობს უპატრონო ბავშვი, თითზე ჩამოსათვლელია ბავშვთა სახლები, არიან უმუშევარი მოქალაქეები, ხელმოკლე ოჯახები, მაგრამ ირანში არ არსებობს მშიერი მოქალაქე, მათხოვარი.**

რა შეფასებას აძლევენ ისლამურ ირანს ობიექტური ექსპერტები: 1997 წელს შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროს ჟურნალ „Forreign Affairs“-ის ივლის-აგვისტოს ნომერში ვკითხულობთ: „ანტიდასავლური ირანის ისლამური რესპუბლიკა ხშირად გაოცებას იწვევს თავისი ერთგულებით დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი, განსაკუთრებით კი პარლამენტით. ირანის მეჯლისის მოღვაწეობის დეტალური შესწავლა გვიჩვენებს, რომ ირანში არიან კომპეტენტური პოლიტიკოსები, რომ პარლამენტში იმართება ნამდვილი დებატები, რომ ამ უწყების საქმიანობის გაცნობით შეიძლება ირანის შესწავლა... დღეს ირანში არსებობს უფრო მეტი პოლიტიკური პლურალიზმი, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ბევრ სხვა ქვეყანაში“ (გვ.164ძ; 2003 წელს ცნობილი ამერიკელი ირანისტი ნიკი კედდი წიგნში „Modern Iran“ აღნიშნავს: „სეკულარული იდეები უფრო მეტია ირანში, ვიდრე ისლამური სამყაროს რომელიმე სხვა ადგილას“ (გვ. 316ძ;2006 წელს შეერთებული შტატების თავდაცვის ეროვნული უნივერსიტეტის, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი თაქეი (Ray Takeyhძ წიგნში „Hidden Iran“ აღნიშნავს: „ირანი შთამბეჭდავად განსხვავდება მის არაბ მეზობლებისგან... ისლამური ირანის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ტიპიური ტოტალიტარული სახელმწიფოსგან“ (გვ.2-3ძ.

საკითხი, რომელსაც ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით, არის საქართველო-ირანის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა.

ირანი წინა აზიის უძველესი სახელმწიფოა. იგი ჩვენი ქვეყნის იმ მეზობელ პოლიტიკურ-კულტურულ წარმონაქმნთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებთან ურთიერთმოქმედების ფონზეც ვითარდებოდა საქართველოს სახელმწიფო. ერთ-ერთ ძველ ქართულ საისტორიო წყაროში აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტები დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ „სამეფოსა სპარსთასა“. აკად.გიორგი წერეთელი ნაშრომში „აქემენიანთა სახელმწიფო და მსოფლიო ცივილიზაცია“ აღნიშნავს, რომ შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის მიერ „აქემენიანთა იმპერიაში განვითარებული ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამართლებრივი სტრუქტურების გაცნობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ რეგიონისთვის“. მეცნიერის აზრით, ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ისეთი სახელმწიფოების ჩამოყალიბება, როგორიცაა ხვარაზმი, სომხეთი, იბერია, ქუშანი და სხვები.



ნავთობქიმიის საწარმო

აქემენიანთა ბატონობის ხანიდან (VI-V ს.ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდეძ XIX საუკუნემდე ირანი ხშირად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამხრეთ კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ირგვლივ გეოპოლიტიკურ ძალთა განაწილებაში.

საქართველო, როგორც აღმოსავლეთის და დასავლეთის დამაკავშირებელი რგოლი, ექცეოდა ხოლმე ირანის ძლიერი იმპერიის გეოპოლიტიკური ინტერესების ეპიცენტრში, რასაც ხშირად მოჰყვებოდა სისხლისმღვრელი ომები, საქართველოს მოსახლეობის დარბევა და გადასახლება.

ორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას სხვა მხარეც ჰქონდა – დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ახალ სპარსულ პოეზიას დიდი გავლენა ჰქონდა ქართველებზე და მისი საგმირო და სააშიკო სიტყვიერება ქართველობას უყვარდა და შეჰხაროდა იმგვარადვე, როგორც თვით სპარსელები შეჰხაროდნენ... თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა, მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერ ერთობას ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს თესავდა. ქართველებისთვის სპარსულ-მაჰმადიანური კულტურა უცხო რამე არ ყოფილა და თავისი პოლიტიკური მტრების მწერლობას, მეცნიერებას და ხელოვნებას ისინი დიდ პატივს სცემდნენ“ („ქართველი ერის ისტორია“, II, 1965, გვ. 305-306ძ.

უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ჩვენი გვირგვინოსანი პოეტი და მთარგმნელი, რომელმაც ირანის ხელისუფლებასთან ბრძოლას შესწირა თავისი მშობელი დედა წმინდა ქეთევან წამებული, ორი ვაჟი და ტახტი, მაგრამ ვითარცა ჭეშმარიტმა ხელოვანმა და ფართოდ განათლებულმა ინტელიგენტმა ამნაირად შეაფასა სპარსული პოეზია: „სპარსთა ენისა სიტკბომან მესურვა მუსიკობანი“.

ირანის არაერთი ცნობილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე იყო ქართველი, საკმარისია გავიხსენოთ დიდი სარდალი ალავერდი ხან უნდილაძე და დედაქალაქის (ე.ი. ისპაჰანისძ თავი ხოსრო მირზა ბაგრატიონი, რომლის ენერგიული ძალისხმევით შაჰაბაზის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილიშვილი სეფი მირზა ავიდა ტახტზე, ხოლო შემდეგ კი მოგვევლინა როსტომ მეფედ. ქრისტიანული საქართველოს დედაქალაქში იყო უბანი „სეიდაბადი“ („სეიედ“ იმამ ალის – მოციქულ მუჰამედის ბიძაშვილისა და სიძისძ შთამომავალი „აბად“ – დასახლებაძ, ისლამური სამყაროს 40 ცნობილი თეოლოგი და მეცნიერი ატარებდა ზედსახელს „ათ-თეფლისი“, ე.ი. რაღაცნაირად იყო დაკავშირებული თბილისთან. ავტორიტეტულ შიიტურ წყაროში „ყუმის ისტორია“ ერთ რიგში მოიხსენებიან ქუფა, ყუმი და თბილისი.

მკითხველს მოეხსენება, რომ ისლამური სამყარო მოიცავს უზარმაზარ არეალს, დაწყებული ჩრდილო-დასავლეთ აფრიკიდან ინდონეზიამდე. მთელ ამ სივრცეში მცხოვრები მუსლიმისათვის მოციქული მუჰამადი და წმინდა წიგნი „ყურანი“ საერთო და სათაყვანებელია, მაგრამ თუ დავაკვირდებით ვითარებას იემენში, საუდის არაბეთში, პალესტინაში, ერაყში, ჩრდილო კავკასიაში, ავღანეთში, პაკისტანში და ირანში, შევნიშნეთ, რომ ამ რელიგიის დოგმებისა და მოციქულ მუჰამადის გამონათქვამების რეალიზაცია არ არის იდენტური. სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებულია ტერმინი „Iranian Islam“, რომელიც მიმოქცევაში შემოიტანა საქვეყნოდ ცნობილმა ისლამმცოდნემ ანრი კორბინმა.

თუ რა განსხვავებაა „ირანულ“ ისლამსა და სხვა ქვეყნის ისლამს შორის ადვილად შეიძლება დავადგინოთ საქართველოს მაგალითზე. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთი საქართველო (ქართლი და კახეთიძ და დასავლეთი საქართველო (აჭარა და მის დასავლეთით მდებარე რაიონებიძ იყო ობიექტი სისხლისმღვრელი ომების, ძალადობის და მოსახლეობის დარბევის. საბოლოო შედეგი: დასავლეთში XIX საუკუნის დასაწყისისთვის მოსახლეობა გამაჰმადიანებულია, ეკლესიები დანგრეული ან აღარ ფუნქციონირებენ, ძალიან შესუსტებულია მოსახლეობის ქართული თვითმყოფადობა. აღმოსავლეთში კი მოსახლეობა ქრისტიანულია, ეკლესიები ფუნქციონირებენ, თვითმყოფადობა ქართულია.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, 2004 წელს საფრანგეთი ირანის ისლამურ რესპუბლიკას თვლიდა თავის მთავარ პარტნიორად და სტაბილურობის ქომაგად რეგიონში. საქართველოს მხრიდან ფრიად კონსტრუქციული და საქმიანი გადაწყვეტილებაა მეზობელ ირანთან კეთილი ურთიერთობის გაშლა-გაღრმავება.

მოღვაწეებს შესწევთ ძალა ახალი ამოცანების შესრულების. ფრიად მოხარული ვარ, რომ ჩვენი წიგნიერი ელჩი ბატონი გია ჯანჯღავა სწორედ საჭირო დროს აღმოჩნდა საჭირო ადგილას.

*ირანის ისლამური რესპუბლიკის კანონმდებლობის და სოცუზრუნველყოფის უწყებების საქმიანობის, არასამთავრობო საქველმოქმედო სტრუქტურებისა და მრავალსაუკუნოვანი ადათწესების ერთობლივი ეფექტი ძმნის ასეთ ვითარებას: 73-მილიონიან ირანში ფიზიკურად არ არსებობს უპატრონო ბავშვი, თითზე ჩამოსათვლელია ბავშვთა სახლები, არიან უმუშევარი მოქალაქეები, ხელმოკლე ოჯახები, მაგრამ ირანში არ არსებობს მშიერი მოქალაქე, მათხოვარი.*

**ჯემშიდ გიუნაშვილი,**
პროფესორი.
14/XII/2010 წ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სტაბილური მომავლის გადასარჩენად

**რუსეთთან ომის შემდეგ ორნახევარი წელი გავიდა და საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება სულ უფრო მეტად იღებს გეზს 2012-2013 წლების არჩევნების სამზადისზე და იმ დებატებზე, კონსტიტუციის ბოლოდროინდელი ძირეული ცვლილების შემდეგ ხელისუფლების გადანაწილების გარშემო რომ მიმდინარეობს. თანახმად არსებითი საკონსტიტუციო ცვლილებებისა, რომლებიც ძალაში 2013 წელს შევა, ზუსტად იმ დროს, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი ვადით დაწესებული ლიმიტის გამო თანამდებობიდან უნდა წავიდეს, ძალაუფლების დიდი ნაწილი პრემიერ-მინისტრის ხელში გადავა.**

მომავალ ორ წელს დიდი მნიშვნელობა ექნება იმის დასადგენად, თუ რა გზას აირჩევს ქვეყანა – წავა პროგრესისკენ და ნამდვილად სტაბილური, თანამედროვე დემოკრატიისკენ, თუ ჩამოიშლება და მყიფე ფსევდოპლურალისტურ, უმოქმედო სისტემად იქცევა. მთავრობამ და პოლიტიკურმა ოპოზიციამ ეს საკვანძო პერიოდი საზოგადოებაში დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი რწმენის ჩამოსაყალიბებლად უნდა გამოიყენონ. ყველაზე საუკეთესო გზა ამის მისაღწევად და სამართლიანი საარჩევნო ციკლის უზრუნველსაყოფად, სერიოზულ დიალოგში ჩართვა, კანონის უზენაესობის, ეკონომიკური სტაბილურობისა და მომავალი მთავრობის ლეგიტიმურობის განმტკიცებაა.

ყველაზე მეტი სპეკულაცია იმ საკითხის გარშემო გაიმართა, თუ რა როლს შეასრულებს სააკაშვილი მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის პოსტს დატოვებს. ინსინუატორები აცხადებენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიზანი ისაა, რომ პრემიერ-მინისტრის ახალი, განმტკიცებული პოზიციიდან მას ქვეყანის მართვის გაგრძელების საშუალება მიეცეს. სააკაშვილი ამას უარყოფს, ამბობს, რომ სამომავლოდ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია და რომ საკონსტიტუციო ცვლილებები რომელიმე კონკრეტული პიროვნებისთვის არ მიუღიათ.

სააკაშვილის მთავრობა არ შეეუპუა იმ გავცელებულ მოსაზრებას, რუსეთთან 2008 წლის ომის შემდეგ, იძულებული გახდებოდა ხელისუფლებიდან წასულიყო. პირიქით, გაერთიანებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ 2010 წლის მაისის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ძალიან განიმტკიცა პოზიციები. მან იოლად მოიგო თბილისის მერის არჩევნები და ყველა დანარჩენ 69 მუნიციპალურ საკრებულოში უმრავლესობა მოიპოვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პოლარიზაცია მთავრობასა და იდეოლოგიურად ჭრელ ოპოზიციურ პარტიებს შორის, რომელთაც ვერ შესძლეს რაიმე სახის საერთო გეგმის ან გზავნილის ფორმულირება, რეფორმების განხორციელებასა და მოწიფული დემოკრატიული სისტემის შექმნას სერიოზულ ბარიერებს უქმნის. 150-ადგილიან პარლამენტში მხოლოდ 17 ოპოზიციური დეპუტატია, ხოლო 16 დანარჩენმა, რომელმაც საპარლამენტო მანდატი მოიპოვა, ბოიკოტი გამოაცხადა.

ის გულუხვი დახმარება, 4.5 მილიარდი დოლარის ოდენობით, რომელიც საქართველომ ბიუჯეტის მხარდაჭერისთვის, ჰუმანიტარული დახმარების, სესხის სახითა და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 38 სხვადასხვა ქვეყნიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ომის შემდგომი აღმშენებლობისთვის ბოლო სამი წლის განმავლობაში მიიღო, მოკლევადიან პერსპექტივაში ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიას იძლევა. მაგრამ ეს თანხები თავდება და არც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ექსპორტი არ მატულობს. ამიტომ, საგარეო ვალის და სავაჭრო დეფიციტის დაფარვის გამო, თბილისი, ალბათ, სერიოზული პრობლემების პირისპირ აღმოჩნდება.

გასული ორი წლის განმავლობაში მთავრობამ სასამართლო სისტემასა და მედიაში მნიშვნელოვანი რეფორმები წამოიწყო, მაგრამ მეტია გასაკეთებელი ადგილობრივი ინსტიტუტებისადმი საზოგადოების რწმენის ჩამოსაყალიბებლად. ბევრი ქართველი დღესაც მიიჩნევს, რომ მოსამართლეები აღმასრულებელ შტოზე დამოკიდებული არიან და უპირატესობას ანიჭებენ სასამართლო დევნას, მით უფრო, რომ გამამართლებელი განაჩენები სისხლის სამართლის საქმეებში 1 პროცენტს შეადგენს. საკუთრების უფლება კვლავ ილახება ეფექტიანი იურიდიული კომპენსაციის გარეშე. მედია უფრო თავისუფალია, ვიდრე რეგიონის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, მაგრამ ძალიანაა პოლარიზებული პოლიტიკური ნიშნით და უფრო სარედაქციო პოზიციის გამოხატვისკენ იხრება, ვიდრე ნეიტრალური შეტყობინებისკენ; ყველაზე მნიშვნელოვანი სატელევიზიო გადაცემები მთავრობის დიდი გავლენის ქვეშ არიან.

მართალია, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სასარგებლო ნაბიჯი გადადგა, როდესაც ნოემბერში ცალმხრივად განაცხადა ძალის გამოუყენებლობის შესახებ, მაგრამ რუსული სამხედრო ძალების ეს კონცენტრაცია საქართველოში არასტაბილურობის განცდას ქმნის და ხდება მიზეზი ძალადობრივი ინციდენტებისა ადმინისტრაციული სასაზღვრე ზოლის გასწვრივ. საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა განაგრძოს ზემოქმედება მოსკოვზე, რათა მან გამოიყვანოს თავისი ჯარები პოზიციებზე, რომლებიც 2008 წლის კონფლიქტამდე ეკავა, ხელი შეუწყოს იძულებით გადაადგილებულ ეთნიკურ ქართველთა დაბრუნებას ამ ორ ტერიტორიაზე და დაუშვას იქ ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია. ამ ბოლო დროს თბილისში მომხდარი აფეთქებების ტალღამ, რომლებიც ქართველთა თქმით, აფხაზეთში მყოფი რუსი სამხედრო ოფიცრის ბრძანებით განხორციელდა, კიდევ უფრო გაამძაფრა არასტაბილურობის განცდა.



International Crisis Group
WORKING TO PREVENT CONFLICT WORLDWIDE

# „უბრალოდ პროვოკაციაა“

**ოთხშაბათს საქართველოს პარლამენტმა წარმოაჩინა კავკასიის, კონკრეტულად დაღესტნის მიმართულებით გააქტიურების მაგალითი. საქართველოს დეპუტატებმა მოულოდნელად დაიწყეს დაცვა დაღესტნელი ხალხის ერთ-ერთ ყველაზე მცირე წარმომადგენლებისა – დიდოელებისა, რომლებიც თითქოსდა ითხოვენ თავიანთი რეგიონის საქართველოს შემადგენლობაში შესვლას. მახაჩყალაში ამ ჟესტს უკვე პროვოკაცია უწოდეს.**

ალბათობის დიდი მოცულობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაღესტნის ერთ-ერთი ეროვნების – დიდოელების შესახებ საქართველოში გაგებული ჰქონდათ მხოლოდ ექსპერტ-ეთნოგრაფებს. ამიერიდან კი, როგორც ჩანს, თბილისი „დიდოელთა პრობლემას“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

როგორც უკვე ვწერდით, რუსეთის ჩრდილოეთი კავკასიის ფედერალური ოლქი ამ ცოტა ხნის წინათ გახდა ერთ-ერთი პრიორიტეტი თბილისის საგარეოპოლიტიკური სტრატეგებისთვის. მაგალითად, ოქტომბერში ყველა რუსეთელისთვის, ვინც ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებში ცხოვრობს, საქართველომ გააუქმა ვიზები. ამ ცოტა ხნის წინათ კი გამოცხადდა, რომ ერთი თვის შემდეგ ეთერს დაუბრუნდება რუსულენოვან მცხოვრებლებზე გათვლილი „პირველი კავკასიური ტელეარხი“, თუმცა მას დაარქმევენ ან „პირველ ინტერაქტიულ კავკასიურს“, ან „პირველ საინფორმაციო კავკასიურს“.

ამოცანა ამის გამო არ იცვლება: ტელეპროპაგანდისტებს მოუწევთ, გადასცენ რუსულ ენაზე „მართალი ცნობები“ საქართველოს შესახებ – ძირითადად ასე, რათა მიიპყრონ აუდიტორიის ყურადღება კავკასიის დიდი ქედის იქითა მხრიდან. ამ დღეებში დიასპორასთან კავშირის საპარლამენტო კომიტეტმაც გადაწყვიტა ხელი მოჰკიდოს ჩრდილოეთი კავკასიის საკითხებს. და აი – „კავკასიური სტუმართმოყვარეობის ახლებურად წარმოჩენის“ პირველი გამოვლინება.

ტელეკომპანია „იმედის“ ცნობით, ოთხშაბათს დიდოელი ხალხის წარმომადგენელთა ჯგუფმა, რომელიც დაღესტნიდან ჩამოვიდა, მიმართა თხოვნით საქართველოს ხელისუფლებას დახმარებოდა მათ რუსეთის ცენტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯგუფი მიიღო პარლამენტში საპრეზიდენტო უმრავლესობის ლიდერმა, ზემოხსენებული კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ წიკლაურმა. „იმედის“ მტკიცებით, დიდოელებმა პარლამენტს გადასცეს თავიანთი ხალხის 15 ათასი წარმომადგენლის ხელმოწერები მიმართვის ქვეშ იმის შესახებ, რომ რუსეთში მათი უფლებები, თითქოსდა, სისტემატურად ირღვევა.

როგორც ტელეკომპანია იტყობინება, დელეგაციას სათავეში უდგას დიდოელი მაჰომედ რამზანოვი, რომელმაც წიკლაურთან შეხვედრის დროს გაიხსენა, რომ 1944 წელს დიდოელები გახდნენ სსრ კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობის „რეპრესიების მსხვერპლი“. რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლებისგან დიდოელები მოითხოვენ კომპენსაციას იმ მოვლენებისთვის.

„ჩვენ გაგვინადგურეს სახლები, ყველაფერი, რაც გვქონდა, – განაცხადა რამზანოვმა. – ჩვენ რუსეთის ფედერაციისგან მოვითხოვთ კომპენსაციას რეპრესირებულებისთვის. საქართველოში ჩამოვედით იმისთვის, რათა აქედან ვაცნობოთ მთელს მსოფლიოს, თუ როგორ გვეპყრობიან ჩვენ. ასევე ვთხოვთ დიდოეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლას“.

მართალია, წიკლაურმა დიპლომატიურად უპასუხა, რომ საქართველოში „არავინ განიხილავს რუსეთის საზღვრების გადაკეთებას“, „ეს დაუშვებელია“, მაგრამ, კავკასიის საერთო ინტერესების გათვალისწინებით, დიდოელთა ხმა თბილისიდან უნდა მიწვდეს საერთაშორისო საზოგადოებრიობას.

როგორც საქართველოს საინფორმაციო სააგენტო „პირველი“ აღნიშნავს, დიდოელებმა აგრეთვე სთხოვეს საქართველოს პარლამენტარებს დახმარება მათი ენისა და კულტურის გადარჩენაში. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ამჟამად დიდოელები 40 ათასს არ აჭარბებენ. სააგენტო გვახსენებს, რომ დიდოელთა დიდი ნაწილი ცხოვრობს საქართველოსთან მოსაზღვრე რაიონებში და შუასაუკუნეებში ეს ხალხი ქართველთა ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ცნობები დიდოელთა ვიზიტის შესახებ ვრცელდება ამ დღეებში საქართველოს პრესის გაზრდილი ყურადღების ფონზე მოსკოვში კავკასიური დიასპორის გარშემო გაჩაღებულ მოვლენებთან დაკავშირებით. თავიანთ ახალ საინფორმაციო გამოშვებებს ყველა ეროვნული ტელეკომპანია იწყებს ამ თემასთან დაკავშირებული ცნობებით.

რა ზომებს მიიღებს თბილისი კონკრეტულად დიდოელთა გადარჩენისთვის, ჯერჯერობით გაურკვეველია. მაგრამ აი, დაღესტნის პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა რასულ ხაიბულაევმა ჩვენ გაზეთს განუცხადა, რომ არაფერი გაუგონია დიდოელთა არც განცხადების, არც ამ ხალხის წარმომადგენელთა კონფლიქტის შესახებ ხელისუფლებასთან.

თავის მხრივ ვიცე-პრემიერის, რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ალექსანდრ ხლოპონინის პრესმდივანმა ალა ვლაზნევამ ჩვენს გაზეთს უამბო იმის შესახებ, რომ ნებისმიერი სადავო ეროვნული საკითხი რეგულარულად განიხილება სრულუფლებიანი წარმომადგენლობის საშინაო პოლიტიკის დეპარტამენტში, მაგრამ დიდოელი ხალხის წარმომადგენლებს თავიანთი პრობლემების შესახებ არაფერი უცნობებიათ. მისი სიტყვებით, ყველა მიმართვას ყოველთვის ახლავს ხელისუფლების რეაქცია.

„თუ ისინი მიმართავენ ალექსანდრ ხლოპონინს, მაშინ მათ სიტუაციაში გაერკვევიან. თუ ისინი მიმართავენ საქართველოს, მაშინ როგორც წარმოუდგენიათ მათ ეს? საქართველოს ჯარები შევლენ დაღესტანში და დაიწყებენ გარჩევას? ჩემთვის რთულია ამ სიტუაციის წარმოდგენა“, – აღნიშნა ვლაზნევამ, და დაუმატა, რომ რუსეთში უფრო მეტად აღელვებთ თავისი ხალხების პრობლემები, ვიდრე პოლიტიკა მეზობელ საქართველოში.

დაღესტანში, 2002 წლის აღწერის მონაცემებით (მიმდინარე წლის აღწერის შედეგები გამოქვეყნდება მხოლოდ აპრილშიძ, დაღესტანში დაახლოებით 15 ათასი დიდოელი ცხოვრობს. მათი თვითსახელწოდებაა ცეზები („არწივები“ძ, აგრეთვე დიდო და ციუნციალი. ამ ეროვნების დაახლოებით 1000 წარმომადგენელი ცხოვრობს დიდი კავკასიონის სამხრეთ მხარეზეც, ესე იგი, საქართველოში. დიდოელები განეკუთვნებიან ცეზ ხალხებს, დასავლეთი დაღესტნის ძირეულ მოსახლეობას. ზოგიერთი მკვლევარი დიდოელებს ავარიელთა სუბეთნიკურ ჯგუფად მიიჩნევს. სარწმუნოების მიხედვით ისინი სუნიტი მუსლიმანები არიან. დიდოელები ძველთაგანვე მეცხვარეობასა და მიწათმოქმედებას მისდევენ.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**მინსკში თავს იყრიან ჯარები: არჩევნების შემდეგ ხელისუფლება ემზადება მოიგერიოს ოპოზიციის გამოსვლები**

თვითმხილველთა აზრით, ბელარუსის დედაქალაქისკენ პრეზიდენტის არჩევნების წინ თავს იყრის სპეციალური ტექნიკა და არმიის ქვედანაყოფები. ლუკაშენკომ უკვე გააფრთხილა ოპოზიცია „არ გადალახონ რუბიკონი“. ის მოულოდნელად შეურიგდა კრემლს და განზრახული აქვს მოხსნას ბრეჟნევის რეკორდი.

* * *

**ნეპალში დაიმსხვრა თვითმფრინავი, ბორტზე მყოფი 22 კაცი დაიღუპა**



კავშირი თვითმფრინავთან, რომელიც ეკუთვნოდა ავიაკომპანია „ტარა აირს“, დაიკარგა ოთხშაბათს მისი ქალაქ ლამიდანდის აეროდრომიდან აფრენის შემდეგ 162 კილომეტრში. თვითმფრინავი ჩამოვარდა ჰიმალაის ფერდობებზე ქვეყნის აღმოსავლეთით, დაიმსხვრა რამდენიმე ნაწილად.

* * *

**ჰაიტიზე ქოლერის ეპიდემიის მსხვერპლთა რაოდენობამ 2400 კაცს გადააჭარბა**

ავადმყოფობა, სპეციალისტების მოლოდინის მიუხედავად, არ ნელდება. ეპიდემიის გავრცელებამ ერთხანს ტემპები დააგდო, მაგრამ ამჟამად ქოლერა კვლავ გააქტიურდა. 15 დეკემბრისთვის დარეგისტრირებულია ქოლერით დაავადებულთა 109,196 ათასი შემთხვევა.



* * *

**„ალ-ყაიდა“ აპირებს ტერორისტულ აქტებს აშშ-სა და ევროპაში შობისთვის, აღიარეს ხელში ჩაგდებულმა ბოევიკებმა**

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ერაყში სპეციალური ოპერაციის დროს დააკავეს 70-ზე მეტი ექსტრემისტი. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვებით, ერთ-ერთი მათგანი, ვინც ჩვენება მისცა, ტუნისის მოქალაქეა. თავდასხმის ერთ-ერთი ქვეყანა კი – დანია. ბაღდადმა ინფორმაცია მიაწოდა ინტერპოლს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის სახელმწიფოთა ხელისუფლებებს.



## ◉ რაგბი

# მსოფლიო ტროფი - თბილისში



**წლეულს საქართველოს 19-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ახალგაზრდული პირველობის ფინალში რუსეთს სძლია და ოქროს მედლებთან ერთად ახალგაზრდული მსოფლიო ტროფის საგზურიც დაიმსახურა. უკვე გაცხადდა, რომ ამ შეჯიბრებას გაისად თბილისი უმასპინძლებს.**

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზურისთვის მასპინძლებთან ერთად რუსები, სამოელები, იაპონელები, ამერიკელები, ურუგვაელები, კანადელები და ზიმბაბველები იასპარეზებენ. პაექრობები 24 და 28 მაისს, 1 და 5 ივნისს გაიმართება.

2011 წლის ახალგაზრდული მსოფლიო ტროფის მოსამზადებელი სამუშაოების სანახავად და საქართველოს სარაგბო ინფრასტრუქტურის დასათვალიერებლად თბილისს რაგბის საერთაშორისო საბჭოს ტურნირების დირექტორი ფილიპ ბურდარიასი ეწვია. იგი სპორტის მინისტრ ლადო ვარძელაშვილს შეხვდა და მასთან ერთად პრესკონფერენციაც გამართა. სტუმარი თბილისში ნანახით კმაყოფილი დარჩა.

**ლექსო ცინცაძე**

## ◉ ცურვა

# დაიწყეს, მაგრამ ულიმღამოდ

**ქართველი მოცურავეები – ირაკლი რევიშვილი და გიორგი მთვრალაშვილი დუბაიში მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატში (25-მეტრიანი აუზებისთვის) კი ჩაებნენ, მაგრამ საკმაოდ ულიმღამოდ. რევიშვილმა 200 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში 44-ე ადგილი დაიკავა, ხოლო მთვრალაშვილს გულაღმა ცურვაში 62-ე ადგილი ერგო.**

ასპარეზობის პირველ დღეს ამერიკელმა რაიან ლოხტემ გაილაღა – 200 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ყველას აჯობა. არც არის გასაკვირი – წლეულს წყნარი ოკეანის თამაშებზე მან 7 ოქროს მედალი მოიხვეჭა და ამერიკის 2010 წლის საუკეთესო მოცურავის სახელიც მოიპოვა.



**ლაშა დიდია**

## ◉ ფუტსალი

# სტუდენტური ლიგა ძალას იკრებს

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში გრძელდება სტუდენტური ლიგის თამაშები ფუტსალში, რომლის ორგანიზატორები არიან საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია, ფუტსალის ასოციაცია და კომპანია „რომპეტროლი-საქართველო“.**



შეჯიბრებაში 16 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ორ ჯგუფში გადანაწილდნენ. წრიული შეხვედრების შემდეგ მომდევნო ეტაპზე 4-4 გუნდი გავა. უკვე მიილია 3 ტური. A ჯგუფში უდანაკარგოდ აგრარული, საავიაციო და ტექნიკური უნივერსიტეტის ფეხბურთელები დაწინაურდნენ. B ჯგუფში 9 ქულით სეუ მეწინავეობს. ლიდერს 3-3 ქულით ჩამორჩებიან და მეორე-მეხუთე ადგილებს თსუ, სამედიცინო, „საქართველო“ და თეატრალური უნივერსიტეტი ინაწილებენ.

**გივი გაგუა**

## ◉ 64 უჯრა

# ღირდა კი ევროპაში ჩამოსვლა?..



**პოლ მორფი (1837-1884წ) – გამოჩენილი ამერიკელი მოჭადრაკე, XIX საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი.**

1858 წელს პარიზში დაამარცხა ლონდონის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული (1851წ) ლეგენდარული ანდერსენი (7,5:1,5). ევროპულ ტურნეში, დაფაზე დაუხედავად ბრწყინვალე შედეგები აჩვენა ცნობილ მოჭადრაკეებთან შეხვედრებში. პ. მორფის პაექრობისას დელანუასთან (პარიზი, 1858წ) ამ უკანასკნელმა, მას შემდეგ, რაც ხელი დაავლო მეტოქის დაუცველ კუს, ირონიულად ჩაიძირძილა: „ასეთი თამაშით ღირდა კი ამერიკიდან ევროპაში ჩამოსვლაო?“. ოკეანისგაღმელმა სკეპტიკოს მოაჭადრაკეს კომბინაციური თამაში დაუპირისპირა და 6 სვლაში დაამამათა იგი.

**გთავაზობთ ამ პარტიას:**



**სვლა შავებისაა**

1. ... ეfe8 2. ხ:c7 – ე:f2 3. მე:f2 – ეe2+! 4. მე:e2 – ლg2+ 5. მეe1 – ლg1+ 6. მეd2 – ლf2+ 7. მეd1 – ხh5X

მოამზადა
**თამაზ შენგელიამ**

## ◉ თაობა

# ცოცხალი ლეგენდის სახელობისა



**ჩვენი გაზეთის მკითხველი ინფორმირებულია, რომ ფონდ „ქართული განათლების“ სკოლა-ლიცეუმი „მოძღვარი“ (დირექტორი ხათუნა კერესელიძე) ერთ-ერთ პრიორიტეტად ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას მიიჩნევს და საამისოდ კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამს.**

უკანასკნელი ღონისძიება, რომლის ორგანიზატორადაც აღნიშნული სასწავლებელი მოგვევლინა, „ადამიანი-გოლის“ რამაზ შენგელიას სახელობის თასის გათამაშება იყო, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა (მთავარი მსაჯი – **ვახტანგ ბაქანიძე**).



ფინალში მასპინძლებმა 2:0 სძლიეს 57-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს და მთავარი ჯილდო მოიპოვეს.

რაც შეეხება ტურნირის გამორჩეულ მონაწილეთათვის დაწესებულ ინდივიდუალურ პრიზებს, მათი მფლობელები გახდნენ **საუკეთესო მეკარე** – ნიკოლოზ გახოკიძე, **ბომბარდირი** – ზურაბ ხიზანიშვილი (დინამოელთა სახელოვანი თაობის ღირსეული წარმომადგენლის სეხნია და შვილიშვილი), **ტექნიკური მოთამაშე** – გიორგი კვიჟინაძე და **საუკეთესო ფეხბურთელი** – თვით ლეგენდარული თავდამსხმელის შვილიშვილი დავით გოცირიძე.

დავძენთ, რომ ბატონი რამაზ შენგელია ასპარეზობის ყველა შეხვედრას დაესწრო.

**გიორგი შოთაძე**

## ◉ ფეხბურთი

# უკანასკნელი შანსი



**გამოვლინდა აბუ-დაბიში მიმდინარე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მეორე ფინალისტი. ესაა მილანის „ინტერი“, რომელმაც 3:0 დაჯაბნა კორეის „სეონგნამი“. გოლები აზიის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს მფლობელს სტანკოვიჩმა, ძანეტიმ და მილიტომ გაუტანეს.**

ამრიგად, ხვალ გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული და აფრიკული კონგოს „მაზემბე“ დაუპირისპირდებიან. სწორედ მისი შედეგი განსაზღვრავს მნიშვნელოვანწილად იტალიური გრანდის კედელთან მიყენებული ესპანელი თავკაცის რაფაელ ბენიტესის ბედს, რომელსაც „ტიფოზები“ და ბოსები „სერია – ა“-ში ულიმღამო თამაშის გამო აუმხედრდნენ.

## ◉ ინტერნეტიდან

### ფულს არ იშურებენ



**2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე ყატარის განაცხადის ბიუჯეტმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა – ის დაახლოებით 80 მილიარდი დოლარია. მარტო ზინედინ ზიდანს სპარსეთის ყურის ამ სახელმწიფოს მხარდაჭერისთვის მადლობის ნიშნად 11 მილიონი ევრო გადაუხადესო. როგორც ამბობენ, ფიფას აღმასკომის წევრებს, ვინც არჩევნებზე ხმა მისცა ყატარს, 10-10 მილიონდოლარიანი ჩეკები გამოუწერეს თითოეულსო.**

ასეთი სკანდალური მტკიცებით გამოვიდა თავის „ტვიტერში“ Hewsweek-ის ჟურნალისტი ჯონათან ალტერი, ვითომდა სანდო წყაროების მონაცემებს რომ იყენებს.

### კარლსენმა ისევ ივაჟკაცა

**თუმცა ახალგაზრდა ნორვეგიელმა დიდოსტატმა მაგნუს კარლსენმა ლონდონის საჭადრაკო სუპერტურნირი სენსაციური წაგებით დაიწყო, მაგრამ თანდათან „წელში გაიმართა“ და ქულა ქულას დაამატა, ბოლოსწინა ტურში კი მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ვლადიმირ კრამნიკს დაუპირისპირდა, რომელიც სხვებთან ერთად პირველობას ეპირებოდა და ასე მაღალ დონეზე იშვიათად გამოყენებული ჩიგორინის დაცვა იხმარა ლიდერობის ხელში ჩასაგდებად.** რუსეთელმა თავიდან დიდი უპირატესობაც მოიპოვა და თითქოს იგებდა კიდეც, მაგრამ ენდშპილში კარლსენმა ბრწყინვალედ ითამაშა, თეთრების დედოფალი კუთხეში მიიმწყვდია და ყაიმსაც მიაღწია, რაც პირველი პრიზის (50 ათასი ევრო) მოპოვების საწინდარი გახდა. მით უმეტეს, რომ მას მშვენიერი დამატებითი მაჩვენებლები ჰქონდა ანანდთან და მაკშეინთან შედარებით.



ეს უპირატესობა ნორვეგიელმა მოჭადრაკემ უფრო თვალნათელი გახადა, როცა მეშვიდე ტურში ინგლისელი შორტი დაამარცხა და თავის მთავარ მეტოქეებს 2 ქულით გაუსწრო. დანარჩენი მოჭადრაკეები კი ყაიმზე შეთანხმდნენ – ანანდი კრამნიკს დაუზავდა, ჰაუელი – მაკშეინს, ნაკამურა – ადამსს.

**საბოლოო შედეგები კი ასეთია:** კარლსენი – 13 ქულა 18 შესაძლებლიდან, ანანდი და მაკშეინი – 11, ნაკამურა, კრამნიკი – 10, ადამსი – 8, ჰაუელი – 4, შორტი – 2. შეგახსენებთ, რომ სუპერტურნირზე ქულები საფეხბურთო წესით აითვლებოდა.

### ტაიგერი ყველას სჯობსო



**თითქმის მთელი წელი გავიდა სახელგანთქმული მეგოლფის ტაიგერ ვუდსის გარშემო ატეხილი დიდი სკანდალის შემდეგ. ალბათ გახსოვთ, რომ ის ამის გამო ცოლსაც კი გაეყარა. და აი, ისევ გამოჩნდა მისი ორი ყოფილი საყვარელი და გაამჟღავნეს, თუ რა შეიცვალა მათ ცხოვრებაში და რომ ვუდსი ყველა პორნომსახიობს სჯობს.**

ორმა ცნობილმა პორნომსახიობმა ქალმა – ჰოლი სემპსონმა და ჯოსლინ ჯეიმსმა ყველას თავი შეახსენა.

ჰოლიმ განაცხადა, რომ ის აპირებს პორნომსახიობის კარიერის მიტოვებას. თუმცა ის ისევ აღტაცებულია ტაიგერით. „არ მრცხვენია იმის აღიარება, რომ ვუდსს გააჩნია დიდი ღირსება და შეუძლია ფორის მიცემა ნებისმიერი პორნომსახიობისთვის“.

ჯოსლინმა კი წარადგინა ახალი ფილმი „11 ორმო“, სადაც ვუდსთან თავის რომანზე ჰყვება.

◉ ვიცინოთ თუ ვიტიროთ?!

# ჟამი დიდ რეფორმატორულ ცვლილებათა

## ზადორნოვისებური

**დღემდე შემომრჩა ძველი სასკოლო დღიური, არც ფრიადოსანი ვყოფილვარ, არც თითით საჩვენებელი, მთელი დღიური სავსეა მასწავლებელთა შენიშვნებით, ხან დედაჩემს იძახებდნენ, ხანაც მამაჩემს.**

**ახლახან იმ სკოლის მასწავლებლებმა, სადაც 50 წლის წინათ ვსწავლობდი, ამჟამინდელ მოსწავლეთა დღიურები მაჩვენეს. ჩემს ძველ მასწავლებელთ რომ სცოდნოდათ, როგორ შეიცვლებოდნენ ბავშვები ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე, ალბათ, უქნარა და ცუღლუტ ბავშვად არ მიმიჩნევდნენ და პიონერთა რიგებიდან ყველას თვალწინ ისე სამარცხვინოდ არ გამომრიცხავდნენ-მეთქი, გავიფიქრე.**

**და რათა ჩემი ეს ერთგვარად სევდიანი აზრი უფრო გასაგები გამეხადა, ქვემოთ მოყვანილი მინიატიურა მოვაფანტაზიორე — ერთმანეთს შევადარე საბჭოთა წარსულისა და ამჟამინდელ მოსწავლეთა დღიურებში შეტანილი შენიშვნები.**

**სსრკ:** საშინელებაა! თქვენი ქალიშვილი სკოლაში დღეს წამწამებშეღებილი მოვიდა.

**საქართველო:** ასე აღარ შეიძლება! თქვენი ქალიშვილი სკოლაში წამწამებშეუღებელი დადის.

**სსრკ:** თქვენი ქალიშვილი უსინდისოდ იწერდა საკონტროლოს.

**საქართველო:** თქვენმა ქალიშვილმა უსინდისოდ შემოგვატყუა სხვისი დაწერილი საკონტროლო.




**სსრკ:** თქვენი ვაჟი გაკვეთილზე სულ თანამერხელს ელაპარაკება.

**საქართველო:** თქვენი ვაჟი მთელი გაკვეთილი მობილურზე ვიღაცებს აგინებს.

**სსრკ:** თქვენს ქალიშვილს გუშინ საყელო გასიპული ჰქონდა.

**საქართველო:** თქვენს ქალიშვილს თავის ფრჩხილებზე მოკლე ქვედატანი აცვია და მანდატური ბიჭები თვალს არ აცილებენ.

**სსრკ:** თქვენმა ვაჟმა ლენინის დაბადების თარიღი ვერ დაასახელა!

**საქართველო:** თქვენმა ვაჟმა კითხვაზე „ვინ არის ლენინი?“ გვიპასუხა, რომ ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის... ან ინდიელთა ტომის ბელადია, ან პირველი რუსეთის ფარაონი, რომლის მუმიაც მავზოლეუმში იპოვესო.

**სსრკ:** თქვენ შრომის მასწავლებელი გწერთ: თქვენი ვაჟი შესვენებებზე პაპიროსს ეწევა. მთელ კლასს აყროლებს ყოველდღე.

**საქართველო:** თქვენ სკოლის მანდატური გწერთ: თქვენს ვაჟს სიგარეტი უყიდეთ, თორემ მთელი დღე ჩემს ხარჯზე ეწევა.

**სსრკ:** თქვენმა ვაჟმა სახაზავი გაუქანა თანაკლასელს და კოპი დაასვა შუბლზე.

**საქართველო:** თქვენმა ვაჟმა თანაკლასელ გოგონას გაუქანა და იმას ნაადრევი მშობიარობა დაეწყო.

**სსრკ:** თქვენმა ვაჟმა კარნახით „კოეფუციენტი“ დაწერა. ი-ს მაგივრად უ იხმარა.

**საქართველო:** თქვენმა ვაჟმა კარნახით კოეფიციენტის ნაცვლად „კაიფ ცენტი“ დაწერა.

**სსრკ:** თქვენი ვაჟი გაკვეთილზე კევს ღეჭავდა და სხვასაც აღეჭინებდა.

**საქართველო:** თქვენს ვაჟს ისტორიის გაკვეთილზე პიცა შემოაწოდეს, იმან დაჭრა და თანამერხელებს მიჰყიდა.

**სსრკ:** თქვენმა ვაჟმა ტუალეტში კედელს მიაწერა „გივი+ნათელა=სიყვარულს“.

**საქართველო:** თქვენმა ვაჟმა ტუალეტში კედელს მიაწერა „გივი+ნიკა=სიყვარულს“.

**სსრკ:** თქვენი ვაჟი სკოლაში უზნის ინსპექტორმა იმის გამო მოიყვანა, რომ მოხუცი ქალი ქუჩაში წითელ შუქზე გადაუყვანია.

**საქართველო:** თქვენი ვაჟი პატრულმა სკოლაში იმის გამო მოიყვანა, რომ მოხუც ქალებს ფულს ართმევდა და ქუჩაში ისე გადაჰყავ-გადმოჰყავდა.

**სსრკ:** თქვენმა ქალიშვილმა მთელი ზაფხული ვერ წაიკითხა ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“.

**საქართველო:** თქვენმა ქალიშვილმა სასკოლო ბიბლიოთეკაში იკითხა, აკაკი ჭავჭავაძის „მათხოვრის ზღაპარი“ თუ გაქვთო.

**სსრკ:** თქვენმა ვაჟმა ქიმიის გაკვეთილზე თანაკლასელ გოგონას ნაწნავი მოქაჩა.

**საქართველო:** თქვენმა ვაჟმა ქიმიის გაკვეთილზე თავის თანაკლასელ გოგონასთან ერთად ანაშა მოქაჩა.

**სსრკ:** თქვენი შვილი მეორე დღეა სკოლაში აგვიანებს და თავს იმით იმართლებს, დეპრესიაში ვარო.

**საქართველო:** თქვენი ვაჟი მეორე თვეა სკოლაში არ დადის და თავს იმით იმართლებს, ძებნაში ვარო.

**სსრკ:** თქვენმა ვაჟმა სკოლაში შურდული მოიტანა და დირექტორის კაბინეტში მინა ჩაამსხვრია.

**საქართველო:** თქვენმა ვაჟმა სკოლაში პისტოლეტი მოიტანა, მანდატურს გაურიგდა და დირექტორს ხუთასი ლარი გამოსძალა.

**სსრკ:** თქვენი ვაჟი ლიტერატურის გაკვეთილზე ამტკიცებდა, მაიაკოვსკის სტრიქონებს იმიტომ ამტვრევდა, რაკი ყოველ სტრიქონში ცალკე უხდიდნენო.

**საქართველო:** თქვენი ვაჟი მთელ კლასს არწმუნებდა, მაიაკოვსკი სტრიქონებს იმიტომ ამტვრევდა, რაკი კლავიატურა ეჭედებოდაო, ხოლო დიდი ჯიბეები შარვალზე იმიტომ ეკერა, რაკი საბჭოთა დროს პასპორტი A4 ფორმატისა იყოო.

**სსრკ:** თქვენმა ვაჟმა სკოლის ტუალეტში შესვენებაზე უნიტაზში საფუარი ჩააგდო.

**საქართველო:** თქვენმა ვაჟმა სამასწავლებლოს პირსაბანში მანდატურთა თანდასწრებით რადიოაქტიური პოლონიუმი ჩააგდო. ბოდიშს ვიხდი ცუდი ხელისთვის — თითებდაგლეჯილს წერა მიჭირს.

ქართულად წაიზადორნოვა
**გურამ წიკლაური**

◉ ვიკილიქსი

# ქართული არმია აგვისტოს შემდეგ დასუსტდა

**საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს უნარი გააკონტროლონ თავიანთი ქვეყნის საჰაერო სივრცე ან უკუაგდონ ნებისმიერი მეზობლის შემოჭრა ქვეყანაში. წერდა საქართველოში აშშ-ის ელჩი ჯონ ტეფტი ვაშინგტონს საიდუმლო გზავნილში, რომელიც 2009 წლის ივნისითაა დათარიღებული. ეს ინფორმაცია ინტერნეტგვერდ „WikiLeak“-ის გვერდზე გამოქვეყნებული ახალი მასალებიდან ირკვევა.**

— საქართველოს ახლანდელი ოპერატიული გეგმები მდგომარეობს იმაში, რომ თუკი არმია შეძლებს და თბილისს შემოჭრილი ჯარისგან 72 საათის განმავლობაში დაიცავს, საერთაშორისო საზოგადოება ზეწოლით შეძლებს და გააჩერებს შემტევ მხარეს, — წერდა ტეფტი და იქვე აღნიშნავდა, რომ რუსეთის მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველოს სამხედრო პოტენციალი 2008 წლის აგვისტოსთან შედარებით გაიზარდა და რომ თბილისი გამალებით იარაღდება — შეცდომაა.



2008 წლის აგვისტოში მომხდარი კონფლიქტის დროს საქართველომ დაკარგა სულ მცირე 60 % ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებისა, ჯავშანმანქანების 30 % და ამერიკული წარმოების იარაღის 40 % — და ყველა ეს დანაკარგი აღდგენილი არ არის, — წერდა ტეფტი.

მისივე თქმით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ჯარის რაოდენობის შემცირების შესახებ 6 ათასი კაცით. „გასული წლის ივნისში ქართულ არმიაში 31 ათასი ადამიანი იყო. თავდაცვის მინისტრმა კი ჩვენ კონფიდენციალურად გვაცნობა, რომ შეიარაღებული ძალების საბოლოო რაოდენობა 30 ათას ჯარისკაცზე ნაკლები იქნება“, — აღნიშნავს ტეფტი.

მისივე თქმით, საქართველოს სამხედრო ბიუჯეტის 7 %-ით მოსალოდნელი შემცირება საბოლოო ჯამში მივა იქამდე, რომ საქართველოს დანახარჯები თავდაცვისათვის 2008 წლის დონის ნახევარი იქნება.

— ქართული მხარე არ აცხადებს არმიის შემცირების შესახებ, იმის გამო, რომ შიშობს, რომ ქართული არმიის მცირერიცხოვნობამ შესაძლოა რუსებს შეიარაღებული შემოჭრისკენ უბიძგოს, — წერს ტეფტი.

აშშ-ს ელჩი საქართველოში ასევე მიიჩნევს, რომ აშშ-მ უნდა გააფართოოს საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობა, ვინაიდან აშშ-ს უარი საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის გაფართოებაზე აღქმული იქნება როგორც „რუსეთის დაჯილდოება საქართველოს აგრესიისათვის და მის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ვალდებულებების დარღვევისათვის“.

— რუსეთმა შეიძლება ამტკიცოს, რომ არც ერთი იარაღი არ არის თავისი ბუნებით მხოლოდ თავდაცვითი. რუსეთმა ასევე შეუძლია ამტკიცოს, რომ საქართველო მალულად ყიდულობს იარაღს, თუმცა ამის არავითარი დამადასტურებელი ფაქტი არ არსებობს, — წერს ტეფტი.

ტეფტი საუბრობს რამდენიმე იდეის შესახებ, რომელიც მისი აზრით შეძლებდნენ რეგიონში არასტაბილურობის რეალური საფრთხის განეიტრალებას.

— უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შეგვიძლია ვუბიძგოთ საქართველოს გააკეთოს საჯარო განცხადებები ან წერილობითი ვალდებულებები ახალი სამხედრო პროგრამების მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის შესახებ. ამასთან ერთად, შეიძლება შევთავაზოთ საქართველოს, რუსეთს შესთავაზოს ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება,— წერს ტეფტი და იქვე ეჭვს გამოთქვამს, რომ რუსეთი საქართველოს ამ წინადადებას დათანხმდება.

**ჯი-ეიჩ-ენ**

**საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირის გამგეობა სამძიმარს უცხადებს ამირან ზენაიშვილს მამის**
**ნუგზარ ზენაიშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

◉ ინფორმაცია

## მკვლელობა თხინვალში

**ოზურგეთის რაიონის სოფელ თხინვალში მამა-შვილი, ირაკლი და თედორე ხურციძეები მოკლეს.**

დაჭრილები არიან ოჯახის რძალი და 10 თვის ბავშვი. ისინი ოზურგეთის საავადმყოფოში მოათავსეს.

ექიმების განცხადებით ამ ეტაპზე მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ხურციძეების ოჯახს, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღით დაესხნენ თავს.

ინციდენტზე მიმდინარეობს გამოძიება. შემთხვევა ოთხშაბათს, ღამით მოხდა.

## ეგვიპტეში ჩვენი მოქალაქის დაკავება არ დასტურდება

**ეგვიპტის არც ერთი კომპეტენტური უწყება საქართველოს მოქალაქის დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ამ ეტაპზე არ ადასტურებს.**

ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში განაცხადეს.

— ჩვენ უკვე ჩავრთეთ ამ პროცესში ეგვიპტეში საქართველოს საელჩო, მაგრამ ამ ეტაპზე ეგვიპტის არც ერთი კომპეტენტური უწყება ასეთ ფაქტს არ ადასტურებს - არც საქართველოს მოქალაქის დაკავებას და არც მისი საავადმყოფოში ყოფნის შესახებ, თუმცა ჩვენ ძიება მაინც არ შეგვიწყვეტია, — აცხადებენ საკონსულო დეპარტამენტში.

**ჯი-ეიჩ-ენ**

◉ კარიკატურისტის თვალით






## ფრთაშესხმული გამონათქვამები

# რა უნდა ვქნათ, რათა ჯანსაღ სხეულში სულიც ჯანსაღი იყოს?..

**მედიცინურად ეს ამბავი, რა თქმა უნდა, უწინარესად, ფსიქიატრთა საქმეა. მაგრამ ამ შემთხვევაში მე არც მემედიცინება და არც მეფსიქიატრება. ერთადერთი, რაც მინდა, ამ ძველი ლათინური მცნების სწორი ლიტერატურული გამართვაა, რადგან უმეტესად უსწოროდ გამოვთქვამთ და თავის პირვანდელ უტყუარ სახეს ვუკარგავთ, რის გამოც უფრო უაზრობა გამოდის, ვიდრე ბრძნული გამონათქვამი.**

არადა ავტორს, დეციმუს იუნიუს იუვენალისად ცნობილ ნერონის ეპოქის პოეტს (60-140ძ, თავის მეათე სატირაში სიტყვასიტყვით უწერია: ვილოცოთ, ღმერთებს ვევედროთო, რათა ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი გონი (სულიძ იყოსო. უფრო სწორად, ზემოხსენებული მეათე სატირის ბოლოს ნათქვამია, თუ რარიგ ვექვირფასებით ღმერთებს ადამიანები, ბევრად უფრო მეტად, ვიდრე ჩვენ თვითონ გვექვირფასება ჩვენი თავი. ამიტომ, უკეთუ რამეს ვითხოვთ და წმინდა ადგილთ მსხვერპლსა ვწირავთ (თეთრი ღორის ჯიგარსა და ამ ჯიგრისგან დამზადებულ ძეხვეულსძ, უნდა ვითხოვოთ, ვევედროთ (ანუ ვილოცოთძ, რათა ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი გონი (სულიძ იყოსო, რომელი სულიც ძლიერი იქნება, სიკვდილის შიში არ ექნება და თავისი სიცოცხლის ზღვარს ბუნების ძღვნად მიითვლისო, ყოველგვარ ჭირს დაითმენს, რისხვას განერიდება, ჰერკულესის ჯაფას აიტანს და სიყვარულის გრძნობას დაემონებაო...

იუვენალისის ფრაზა პირველად ინგლისელ ფილოსოფოსს ჯონ ლოკს (1632-1704ძ გამოუყენებია თავის ერთ-ერთ შრომაში („აზრები აღზრდაზე“ძ, ხოლო ამ ფრაზისთვის ლაკონიურობა ჟან-ჟაკ რუსოს (1712-1778ძ მიუნიჭებია („ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“ძ, ვევედროთ, ვილოცოთო, ჩამოუცილებია, რათა ხაზი გაესვა, რომ მხოლოდ ფიზიკურად ჯანსაღ ადამიანშია ჯანსაღი სული. მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ვაი რომ ეს ყოველთვის ასე არ არის. ყოველთვის ასე არ ხდება...

როგორც ჩანს, სწორედ ამიტომაც დასჭირდა ძველ ავტორს ამ საქმეში ღმერთების ჩარევა, ჩვენგან, ადამიანებისგან კი, ვედრება და ლოცვა, რათა ჯანსაღ სხეულში სულის (გონისძ სიჯანსაღეც შევინარჩუნოთ (რაც უთუოდ იოლი საქმე არ არისძ.

არადა, გარდა იმისა, რომ სწორია, ბევრად უფრო ლამაზიც არის ამ ფრაზის სრული ვარიანტი: **ვილოცოთ, რათა ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული (გონი) იყოს,** გვქონდეს (Orandum est, ut sit mens sana in corpore sanod.

აქვე წრფელი მადლიერება უნდა გამოვხატო იუვენალისის პირველი ქართველი მთარგმნელის ეკატერინე კობახიძის მიმართ, რომელმაც თავაზიანად გამარკვია X სატირის ლათინურ ტექსტში.

**გურამ გოგიაშვილი**

## სულიერება

# დიდმოწამე ბარბარე




**17 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენების დღეს აღნიშნავს.**

...წმინდა ბარბარე გამორჩეულად საყვარელი მოწამეა ქართველებისთვის. მისი ასეთი გამორჩეულობა, შესაძლოა, მის არა მარტო ღვთიურ, არამედ იმ ადამიანურ ხასიათსაც მიეწერება, რომელიც ახლოსაა ჩვენს, ქართულ ხასიათთან...

საგულისხმოა, რომ თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის ზემო ეკლესიაში დაცულია დიდმოწამე ბარბარეს წმინდა ნაწილი. ტაძრის საკურთხეველში დაცულ ამ სიწმინდეს ყოველი წლის 17 დეკემბერს გამოაბრძანებენ, რათა მორწმუნენი ემთხვიონ და ეზიარონ მის მადლს.

წმინდა ბარბარეს დასჯისას ქალწულმა უფალს შეავედრა, ყველა ის მორწმუნე ვინც მის მოწამეობრივ აღსასრულს მოიხსენიებდა დაცული ყოფილიყო უეცარი სიკვდილისგან.

„წმინდა ბარბარეს წამების“ ქართული ტექსტი შესულია „პარხლის მრავალთავში“, სინას მთისა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრებში დაცულ ხელნაწერებში (X-XI ს.ძ.

**გიული ლიპარტია**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● შუა საუკუნეების იტალიურ რუკებზე ზუსტად იყო აღნიშნული ქალაქები პომპეი და ჰერკულანუმი, რომლებიც ძვ.წ. 79 წელს განადგურდა ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად. საინტერესო ის არის, რომ იმ დროისთვის ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ მათი არსებობის შესახებ — ლავით დაფარული ქალაქები მხოლოდ XIX საუკუნეში გათავისუფლდა. შუა საუკუნეების რუკაზე კი ეს ქალაქები იმიტომ იყო დატანილი, რომ კარტოგრაფიის დაბალი დონის გამო რუკების შემდგენლები ანტიკური ნიმუშების ზუსტ ასლებს აკეთებდნენ.

● იაპონიის ფირმა „ტოშიბა“ ცნობილია იმით, რომ მის ტერიტორიაზე უამრავი წყალსაცავია, რომლებშიც ქარხანაში გამოყენებული და შემდეგ გასუფთავებული წყალი ჩაედინება. შიგ ძვირად ღირებული დეკორატიული თევზები დაცურავენ, მაგრამ არა მხოლოდ სილამაზისთვის, არამედ ამით მოსახლეობასაც უმტკიცებენ, რომ წარმოება უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის.

● ინდონეზია-პოლონეთი, სპილოს ძვლის სანაპირო-ირლანდია, გვინეა-მალი, ბოლივია-ეთიოპია — ამ ქვეყნების სახელმწიფო დროშები იდენტურია, ოღონდ შებრუნებული.

● ესპანეთის ჩრდილოეთის ქალაქ ბალონში უჩვეულო ძეგლი დგას — ღვიძლის.

● შვეიცარიის ვაგონ-რესტორნებში ტუალეტები არ არის.

● 1852 წელს თურქეთის სულთანს მორზეს აპარატი წარუდგინეს. სულთანი აღფრთოვანდა და მაშინვე მიანიჭა ამერიკელ მხატვარსა და გამომგონებელს მორზეს... საუკეთესო ფაკირის წოდება.

● ნიაგარის ჩანჩქერის ხმა 25 კილომეტრზე ისმის.

● ანა ბურგუნდიელი პირველი ქალი იყო, რომელმაც 477 წელს ნიშნობის ბრილიანტისთვალიანი ბეჭედი მიიღო — ის გერმანიის მეფე მაქსიმილიან I-მა უძღვნა.

● არც ისე დიდი ხნის წინათ ტაივანის ქალაქ ტაიჯუნში გაიხსნა მუზეუმი, რომელიც ფოლადისგან დამზადებული წიგნის ფორმის შენობაშია მოთავსებული, საგამოფენო დარბაზში კი ექსპონატებად წარმოდგენილია გრძელი ფრჩხილები, ნაწნავი და რუსი გლეხ ფიოდორ ვასილიევის ცოლის, მრავალშვილიანი დედის პორტრეტი. აქ გინესის რეკორდების წიგნის მუზეუმია.

● უხსოვარი დროიდან ის სხვადასხვა ვარსკვლავად მიაჩნდათ, რადგანაც მკვეთრად ჩანს როგორც საღამოს, ასევე გათენებისას. მხოლოდ პითაგორამ ივარაუდა, რომ ერთი და იგივე პლანეტა იყო. ეს პლანეტაა ვენერა — ცისკრის ვარსკვლავი.

● სტატისტიკური მონაცემებით ჰოლანდიასა და შვეიცარიაში სტომატოლოგები ერთ სულ მოსახლეზე 0,23 გ ოქროს ხარჯავდნენ, განვითარებულ ქვეყნებში დანტისტები 70 ტონა ამ ძვირფას ლითონს იყენებენ.

● 1913 წელს ბრიუსელში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციას მხოლოდ ერთი ქალი — მარია სკლოდოვსკა-კიური ესწრებოდა.

● აღმოჩნდა, რომ საჭესთან მჯდომი 17-დან 24 წლის ასაკამდე ახალგაზრდების 99 პროცენტი ტელეფონით საუბრობს, 16 პროცენტი კი მესიჯებსაც წერს.

● 1960 წელს დაიწყო სახელგანთქმული თამბაქოს საწინააღმდეგო ამერიკული კამპანია დღეისთვის ხუთ შტატში, მათ შორის კალიფორნიასა და ნიუ-იორკში, მოწევა ყველგან იკრძალება, ხოლო თუ მეზობელი სიგარეტს ღია ფანჯარაში ეწევა, შეგიძლიათ, სასამართლოში უჩივლოთ. ირლანდიაში შვეიცარიაში, ნორვეგიასა და კუნძულ მალტაზე ვერ მოწევთ სიგარეტს ვერც კაფესა და რესტორანში, ასევე ვერც საკუთარ მანქანაში. წესის დამრღვევებს სოლიდური ჯარიმის გადახდა ემუქრება.

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 — +10 |
| ქუთაისი. | +10 — +12 |
| ბათუმი. | +10 — +15 |
| ზუგდიდი. | +8 — +13 |
| თელავი. | +2 — +9 |

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7653 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3346 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6267 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



### იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ

ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## კადრი



## ანეკდოტები

— რას გეუბნებიან ექიმები? — ეკითხებიან ასი წლის მოხუც კაცს.

— სულ ერთსა და იმავეს! 50 წელია მიჩიჩინებენ, რომ მივატოვო სმა, მოწევა, სექსი, ქონიანისა და ტკბილეულის ჭამა...

* * *

— განსასჯელო, მაინც რამ გიბიძგათ საიუველირო მაღაზიის გაქურდვისკენ?



— წარწერამ ვიტრინაზე — „ბატონებო, ნუ გაუშვებთ ხელიდან თქვენს შანსს!“

როგორც ნატოს ბოლოდროინდელ სამიტზე გაირკვა, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია რუსეთს უკვე არ მიიჩნევს სტრატეგიულ მოწინააღმდეგედ...

იგი მას სტრატეგიულ მონაპოვრად განიხილავს.

* * *

— გუშინ სახის კრემი ვიყიდე, რომელიც, როგორც ჩანს, ნაყალბევია, — ეუბნება ცოლი ქმარს.

მხოლოდ ერთხელ წავისვი, მაგრამ მთელი სახე გამისივა და გამიმაგრა. გადაგდება მინდოდა, მაგრამ ჩვენი გოგო მთხოვს, მე მომეცი, პატარა მკერდი მაქვს და იქნებ მიშველოსო. ადრეა ჯერ მაგისთვის მკერდის გაზრდაზე ფიქრი.

ჯობს, შენ მოგცე...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.